პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 6 ნოემბერი 1941 წ. № 263 (6268) ფასი 15 კაპ.

8402

ფართოდ გამოვიყენოთ მუშათა ტექნიკური შემოქმედებითი აზრი

მეხუთე თვეა საბჭოთა ხალხი დიდ სამამულო ომს აწარმოებს ვერაგ და ძლიერ მტერთან—გერმანიის ფაშისტ დამპყრობლებთან. ომიანობის ამ ცხარე თვეებმა ახალ საომარ ყაიდაზე გარდაქმნა სახალხო მეურნეობა. ყველა ძალები დაქვემდებარებულია ფრონტის ინტერესებისადმი. ასეულობით სა-

...

ნის პარტიულმა კომიტეტმა სამამულო ომის დღეებში სპეციალურად განიხილა ეს საკითხი და კონკრეტული დადგენილებები მიიღო ცალკეულ საგამომგონებლო წინადადებებზე, რომლებმაც განსაკუთრებით იმატეს უკანასკნელ ხანებში. ბევრი მათგანი კიდეც გაატარეს ცხოვრებაში და კარგი

...

თირიშვილის მეთოდით სილიკომანგანუმს ახლა უკირქვოდ ადნობენ და ამით წარმოება სულ ცოტა 132 ათას მანეთს იგებს ყოველწლიურად. სასარგებლო ღონისძიების ავტორია იქ აგრეთვე მარგანეცის საამქროს უფროსი ამხ. ბ. ლომთათიძე, რომელიც მცირენახშირბადიანი სილიციუმის

...

ნათ ძრავი რომ გადაიწვოდა, ადგილობრივ აღარ მოეპოვებოდათ მისი აღდგენის საშუალება, ახლა კი მწყობრიდან გამოსულ ელექტროძრავებს იქვე აღადგენენ ადგილობრივი მასალებით და საშუალებებით. გამოანგარიშებულია, რომ ეს ღონისძიება ტრესტს 17.100 მანეთის ეკონომიას აძლევს წლიურად. ამხ. ჩიხელიძემ გამოიგონა აგრეთვე კუთხოვანი და მრგვალი რკინის ავტომატურად მჭრელი დაზგა. დაზგა ადგილზევე გააკეთეს და მშვენივრად მუშაობს. წინათ მრგვალი და კუთხოვანი რკინა რომ დაეჭრათ, იგი უნდა გაეხურებინათ, ახლა ინჟ. ჩიხელიძის დაზგა მას უამისოდ სჭრის და ეს ტექნიკური გაუმჯობესება ტრესტს 15.350 მანეთის ხარჯს აცილებს ყოველწლიურად.

ფართოდ იყენებენ მუშათა გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაშიც, სადაც ინჟ. დ. ჩიკაშუას და გ. შა-

...

კუთრებით ისეთი საკითხებისას, რომლებიც აუმჯობესებენ ტექნოლოგიას, ნერგავენ ახალ მოწყობილობებს, შემოაქვთ სტანდარტიზაცია და ნორმალიზაცია წარმოებაში, სცვლიან ძნელად საშოვნელ დეფიციტურ მასალებს, ახდენენ მოწყობილობის მოდერნიზაციას, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას და სხვ. ამ საკითხების გადაჭრაში კი საბჭოთა მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების მდიდარი შემოქმედებითი ტექნიკური აზრის ფართოდ გამოყენებას აქტიური დახმარების გაწევა შეუძლია.

ამიტომ ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ მას ხელი.

ჩვენ ხანგრძლივი ომი მოგველის გერმანიის პირსისხლიან ფაშიზმთან. რაც უფრო გავაუმჯობესებთ და წინ წავწევთ ტექნიკას, რაც უფრო უკეთესად და სწრაფად გამოვიყენებთ ჩვენი ტექნიკის მთელ ძალასა და სიძლიერეს, მით უფრო დავაჩქარებთ გამხეცებულ მტერზე ჩვენს გამარჯვებას.

უკანასკნელი ცნობები

ჰიტლერის ვასალებს შორის კინკლაობა გრძელდება

...

სტამბოლი, 5 ნოემბერი (საქინფორმი). ბულგარული პრესა იუწყება, რომ დობრუჯის საოლქო სასამართლომ „უცხოეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯაშუშობისათვის" ჩამოხრჩობა მიუსაჯა 11 კაცს და სხვადასხვა ვადით პატიმრობა—2 კაცს. როგორც აქ შეიტყეს, მსჯავრდადებულნი, ეროვნებით რუმინელნი, საზვერავ მუშაობას ეწეოდნენ რუმინეთის სასარგებლოდ, აგრეთვე ასრულებდნენ რუმინეთის ოფიციალური ორგანოების დავალებას — მოეწყოთ სამხრეთ დობრუჯის ტერიტორიაზე ეგრეთწოდებული „რუმინეთისადმი დობრუჯის დაბრუნების ხელშემწყობი ჯგუფები".

შვედური გაზეთი გერმანიის ცხოვრების შესახებ

...

მაღაზიებში ვერაფერს ვერ იყიდი. ყველა თარო ცარიელია, უნივერსალური მაღაზიების სატურპლე განყოფილებებშიც კი. რესტორანებში მთელი საათობით უნდა იცადო, სანამ რაიმეს მოიტანდნენ. სადგურებში ბოლის მძიმე სუნი დგას, რომელიც ძალიან მცირედ წააგავს თამბაქოს სუნს, ვინაიდან თამბაქო თითქმის არ მოიპოვება და მას სხვადასხვა სუროგატით სცვლიან. ხშირად შეხვდები მამაკაცებსა და ქალებს, რომლებიც ატარებენ დიდ ყვითელვარსკვლავიან მკლავსახვევს წარწერით—„ებრაელი". მაგრამ მოსახლეობა არც კი იმჩნევს იმას, რომ იგი ხედავს ამ მკლავსახვევს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბერლინში საცხოვრებელი ბინის მწვავე კრიზისია. ბევრი დიდი ოტელი მუშათა ყაზარმად არის გადაქცეული.

მილიონნახევარი პოლონელი მუშა იძულებით სამუშაოზე იმყოფება გერმანიაში

...

800 ათასი მუშა. პოლონელ მუშებს გერმანიაში ეძლევათ გერმანელთა ხელფასის 1/3-დან 1/2-მდე. ...

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მოძრაობა

...

საბჭოთა კავშირის ხალხებთან სოლიდარობის მრავალრიცხოვანი მიტინგები.

პროფკავშირული და ბევრი სხვა ორგანიზაცია წითელი არმიისათვის საჩუქრებს აგროვებს.

კუბის გაზეთების რედაქციებში მოდის უამრავი წერილი, რომლებიც გამოხატავენ ხალხის აღტაცებას წითელი არმიის გმირული ბრძოლით; ეს წერილები შეიცავენ აგრეთვე განცხადებას სსრ კავშირისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის შესახებ. ზანგთა საზოგადოების ფედერაციის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მიესალმება საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ სხვა ქვეყნებს.

ავსტრალიის ინგლისელი წარმომადგენლის განცხადება

ლონდონი, 5 ნოემბერი (საქინფორმი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ავსტრალიის სპეციალურმა წარმომადგენელმა ინგლისის მთავრობასთან პეიჯმა განაცხადა, რომ სამხედრო თვალსაზრისით ავსტრალია არასოდეს არა ყოფილა ისე ძლიერი, როგორც ახლა, და არასოდეს არა ჰქონია ასე მტკიცე გადაწყვეტილება დაეხმაროს ინგლისს ომის მოგებაში. ამჟამად ავსტრალიის შეიარაღებულ ძალთა რიგებში სამსახურს ეწევა 450 ათასი ავსტრალიელი. ომამდელ პერიოდთან შედარებით, მრეწველობის მოცულობა 20-ჯერ გაიზარდა, ხოლო მალე 60-ჯერ გაიზრდება ამავე პერიოდთან შედარებით. ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალთა პირადს შემადგენლობაში ამჟამად 60 ათასი კაცი ითვლება. ეს რიცხვი განუწყვეტლად მატულობს.

სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრ სმეტსის განცხადება

ლონდონი, 5 ნოემბერი (საქინფორმი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრმა სმეტსმა განაცხადა, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ სამხრეთ აფრიკის კავშირში 24 საფრენოსნო ...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 ნოემბრის საღამოს ცნობა

5 ნოემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლას ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

4 ნოემბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 30 თვითმფრინავი. ჩვენ დავკარგეთ 11 თვითმფრინავი.

5 ნოემბრის განმავლობაში მოსკოვთან მოსპობილია გერმანელთა 27 თვითმფრინავი.

* * *

4 ნოემბერს ჩვენმა ავიანაწილებმა მოსპეს და მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 80 ტანკი, 350 ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და საჭურვლითურთ, 15 ცისტერნი საწვავი, 13 საველე ქვემეხი, საზენიტო არტილერიის 7 ბატარია, 130 საზიდრისაგან შემდგარი ალალი საომარი საჭურვლითურთ და ერთ პოლკამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი.

* * *

წითელი არმიის ნაწილებმა და ...

გაჩაღებული ხალხური პარტიზანული მოძრაობა.

* * *

იტალიაში გერმანელთა თავხედური თარეში აძლიერებს მოსახლეობის ფართო მასების უკმაყოფილებას მუსოლინის პოლიტიკით. ეს უკმაყოფილება სულ უფრო-დაუფრო ხშირად იჩენს თავს მუშათა გაფიცვებით. 28 ოქტომბერს აოსტის მაღაროელებმა დაარბიეს ჟანდარმერიის შენობა, მოჰკლეს 8 ჟანდარმი და მოაწყეს დემონსტრაცია ლოზუნგებით: „ძირს ომი! გავაძევოთ გერმანელები იტალიიდან!".

იტალიის ქალაქებში — ბიელასა და კლუზონში მუშებსა და ჟანდარმერიას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებანი.

* * *

საბჭოთა ხალხი წითელი არმიის მძლავრ მებრძოლ რეზერვებს ამზადებს. მილიონობით მუშამ, კოლმეურნემ და მოსამსახურემ წარ- ...

ჩავფუშოთ მტრის ჯარების ხელახალი გადაჯგუფება

...ლერიის ცხენებს, რათა არტილერია შეაჩერონ, შემდეგ კი იერიში მიიტანონ მასზე". მტრის იძულებითი აღიარება ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა ძალად იქცა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ...ლენინის რაიონის სასწავლო რაზმში მებრძოლებმა კარგად შეისწავლეს შაშხანისა და გრანატის მატერიალური ნაწილი და წარმატებით ითვისებენ ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევებს.

კალინინის ფრონტი, 4 ნოემბერი (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). კალინინის მიმართულებით ეს უკანასკნელი 2 დღე ხასიათდება მტრის ჯარების აქტიური ხელახალი გადაჯგუფებით. მტერი დაჟინებით ცდილობს თავისი მოძრავი ჯარები კალინინის რაიონიდან მოსკოვისაკენ გადაისროლოს, ხოლო მათ ადგილას ჯარის სხვა ნაწილები წამოსწიოს.

გუშინ ვოლოკოლამსკის გზა- ...

...ჯარის დასავლეთისაკენ, რათა გზა გაიკაფოს დედაქალაქისაკენ.

ჩვენს ნაწილებს მტერი მომწყვდეული ჰყავთ ნახევარრკალში და აქარწყლებენ ფაშისტების ყველა ცდას გააფართოონ შექმნილი სოლი. დღეს, ისევე როგორც გუშინ, გერმანელები ცდილობდნენ შემოტევაზე გადმოსვლას, მაგრამ ტანკისტების მარჯვე ცეცხლით მტრის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. მალე ჩვენი ჯარის ნაწილი, რომლის შტაბის უფრო- ...

საბჭოთა ავიაციის თავდასხმა გერმანიის სამრეწველო ქალაქებზე

უკვე დადგა ღამე, ნისლიანი და ცივი, მაგრამ ჩვენი მფრინავები თავის საბრძოლო გაფრენას იწყებენ. ისინი ფრენისათვის ემზადებიან. ეს მფრინავები პირველად კი არ მიფრინავენ მტრის ღრმა ზურგში. ახლა, 3 ნოემბრის ღამეს, ჩვენი მამაცი ავიატორების წინაშე დგას ამოცანა — დაბომბონ გერმანიის სამრეწველო ქალაქები — კენიგსბერგი და დანციგი და რიგის სამხედრო ობიექტები. აეროდრომზე ვეებერთელა მანქანების სილუეტები მოსჩანს. მფრინავები ამოწმებენ მანქანების მზადყოფნას გაფრენისათვის. ავიატორები გულდაჯერებულნი და დამშვიდებულნი არიან. ყველაფერი კეთდება სწრაფად, ზედმეტი სიტყვის წარმოუთქმელად, იმ სიდინჯით, რაც საჭიროა ასეთ საქმეში.

ახლა ჩვენ ვხედავთ იმათ, ვინც გაფრენას აპირებს. აი საბჭოთა კავშირის გმირი ვოდოპიანოვი, იქვე არიან პუსეპი და სხვები — ისინი დანციგისაკენ მიფრინავენ ...

აღწევდნენ ... ზევით მიფრინავდნენ.

მტრის ტერიტორიაზე მფრინავები დიდ სიმაღლეზე მიემართებოდნენ. მთელ ტრასაზე ჩვენს თვითმფრინავებს საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლი ხვდებოდა, მაგრამ მამაცი მფრინავები ყუმბარების გასკდომას ყურადღებას არ აქცევდნენ და თავის გზას განაგრძობდნენ. ისინი მიუწვდომელნი იყვნენ საზენიტო არტილერიისათვის.

მიზნის მიახლოვებისას თვითმფრინავებს ფაშისტთა ავიაგამანადგურებლები შეხვდნენ (გამოტოვებულია). ჩვენი ბომბდამშენები ოსტატური მანევრებით გვერდს უვლიდნენ ავიაგამანადგურებლებს. შტურმანებმა, მოღრუბლულობისა და მძიმე გზის მიუხედავად, თვითმფრინავები სწორედ მიზნებთან მიიყვანეს. სამხედრო სამრეწველო ობიექტები სწრაფად იპოვნეს. ბომბდამშენებიდან უდიდესი დამანგრეველი ძალის ბომბები დაუშინეს. ქალაქები მყის ...

...ლობის შესახებ. რადიოთი ვტყობილობთ, რომ ყველა თვითმფრინავი, ჰაერში აფრენის შემდეგ, მრავალსართულიანი ღრუბლიანობის ზოლში მოხვდა. ალაგ-ალაგ ღრუბლიანობა მიწაზე 50 მეტრამდე ეშვებოდა, ხოლო ზედა კიდის სიმაღლე რამდენიმე ათას მეტრს ...

...განადგურებულია. დიდი ძალის ბომბები სწორედ იქ მოხვდა, სადაც გამიზნული იყო.

„ახლა დავისვენოთ",—ამბობს მეთაური.

პოლიტხელი **ორლოვი.**

მოქმედი არმია.

4 ნოემბერი (ტელეგრაფით).

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მზრალად ხვნის მიმდინარეობის საკითხი.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ მზრალად ხვნა საქართ- ...

ამავე სამუშაოებზე უნდა იქნას გადაყვანილი კოლმეურნეობათა მთელი ცოცხალი გამწევი ძალა.

მზრალად ხვნის სამუშაოთა დამთავრების ვადების მიხედვით თვითეულ კოლმეურნეობაში მზრალად ხვნაზე მომუშავე თვითეული გუთნისათვის ცალკე უნდა დაწესდეს ჰექტარების რაოდენობა, რომელიც უნდა მოხნას მან შემოდგომის პერიოდში.

მზრალად ხვნის სამუშაოთა და- ...

...გაცდენები, მზრალად ხვნის დამთავრების ვადების მიხედვით თვითეული ტრაქტორისათვის დააწესონ შემოდგომის პერიოდში მოსახნავი ჰექტარების რაოდენობა.

საშემოდგომო ხვნისა და თესვის სამუშაოებიდან განთავისუფლებული ყველა ტრაქტორი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადაყვანილი მზრალად ხვნაზე. დაუყოვნებლივ უნდა შემოწმდეს კოლმეურნეობათა გუთნების მდგომარეობა, მოეწყოს მათი რემონტი იმ მიზნით, რომ ყველა გუთანი გამოყენებულ იქნას საშემოდგომო ხვნისა და მზრალად ხვნის სამუშაოებში.

...კოლმეურნეობაში არსებულ შეფასებასთან შედარებით;

გ) მტს-ების დირექტორებს, უფროს აგრონომებს და უფროს მექანიკოსებს, თუ ისინი შეასრულებენ ტრაქტორებით მზრალად ხვნის გეგმებს, მიეცეთ პრემია ერთი თვის ხელფასის რაოდენობით თვითეულს.

საქართველოს სსრ მიწსახკომს დაევალა ხუთდღიურში ერთხელ მიაწოდოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ინფორმაცია მზრალად ხვნის მიმდინარეობის შესახებ თვითეული რაიონის მიხედვით ცალკე.

---

6 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მოწვეულია

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავისადმი

მიძღვნილი პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა

აქტივის საქალაქო კრება

თბილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომი- ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

გააფთრებული ბრძოლა კალინინის გარეუბნებში

კალინინის მიმართულება, 3 ნოემბერი (დეპეშით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ და დღევანდელი დღის პირველი ნახევრის განმავლობაში ჩვენმა საჰაერო და სახმელეთო დაზვერვამ გამოარკვია, რომ ამხ. მასლენიკოვის ნაწილების უბანზე გერმანელებმა თავი მოუყარეს ქვეითი მოტორიზებული ჯარისა და არტილერიის ახალ რეზერვებს. იმ 7 დივიზიის დამატებით, რომელიც წინათ ამ რაიონში მოქმედებდა, დღეს კიდევ გამოჩნდა გერმანელთა 102-ე ქვეითი დივიზია. ამხ. მასლენიკოვის ძალების ნაწილი ვოლგის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენა ნაპირზე გადავიდა და მტერი ნელა განაგრძობს სვლას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ.

საომარი მოქმედების სხვა რაიონებში გამოჩნდნენ ფინელთა ბატალიონები, ხოლო გერმანელთა მოქმედ ნაწილებში — ნორვეგიელები, რომლებსაც უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ზურგის სამუშაოს ანდობდნენ. ეს ფაქტი ბევრი მხრით არის შესანიშნავი. ჯერ ერთი, იგი მოწმობს ადამიანთა რეზერვების გამოფიტვას თვით გერმანიაში, მეორე — იგი მოწმობს, თუ როგორ ახერხებს დღემდე გერმანიის სარდლობა ძალთა რიცხობრივი უპირატესობის შექმნას ფრონტის ცალკეულ უბნებზე.

ჰიტლერელთა მმართველი ხროვა ახლა ძალით ერეკება ოკუპირებული ქვეყნების მამაკაცთა მოსახლეობას მოსკოვზე და კერძოთ კალინინის მიმართულებით იერიშის მოსატანად.

ფრონტის მარცხენა ფრთაზე თვით კალინინის რაიონში უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში აშკარად სჩანს მტრის ცდა წამოიწიოს სამხრეთ-დასავლეთით ვოლოკოლამსკისაკენ. დღეს ვოლოკოლამსკის გზატკეცილზე კვლავ დიდი მოძრაობა იყო ავტომანქანების, ტანკებისა და არტილერიისა.

ამავე დროს გერმანიის ჯარი კვლავ მედგარ წინააღმდეგობას უწევს ჩვენს შემტევ ნაწილებს კალინინის ჩრდილოეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ გარეუბნებში, ამასთან ალაგ-ალაგ კონტრიერიშებზედაც გადმოდის. ქალაქის ჩრდილოეთ-დასავლეთ გარეუბანში მტრის ქვეითი ჯარი და ტანკები სამჯერ შეეცადნენ იერიში მოეტანათ ჩვენს ერთ-ერთ ნაწილზე, მაგრამ ჩვენი ჯარის ნაწილები ყოველთვის უკუაგდებდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ მათ. თავის სახმელეთო ჯარს მტერი აქტიურად ეხმარება ავიაციით. დღის განმავლობაში ჩვენი ქვეითი ჯარის მებრძოლ ნაწილებს გერმანელთა 30-მდე ბომბდამშენმა გადაუარა. დაბომბვა უმთავრესად პიკირებით ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ჯარის ნაწილები დაჟინებით განაგრძობენ წინსვლას. გუშინ საღამოსათვის მათ მტრის ჯარისაგან გასწმინდეს ქალაქის განაპირა რაიონის კიდევ ერთი ქუჩა. მტერმა აქ დასტოვა თავისი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 150-მდე გვამი, რამდენიმე დაზიანებული ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

დღეს დაზუსტებული ცნობების თანახმად, 30 ოქტომბერს გამართული ბრძოლების დროს № ნაწილმა ხელთ იგდო 18 ხელის და 3 დაზგის ტყვიამფრქვევი. ჩვენი ავიაცია უმთავრესად მტრის მოტომექანიზებული კოლონების წინააღმდეგ მოქმედებდა. საბჭოთა ბომბდამშენებმა თანამიმდევრული დარტყმით გაფანტეს გერმანელთა მოტორიზებული ქვეითი ჯარის დიდი კოლონა, მოსპეს 35-მდე ავტომანქანა, 2 ცისტერნი საწვავი და 200-ზე მეტი ჯარისკაცი.

ბატალიონის კომისარი **მ. ზოტოვი**
(„კრასნაია ზვეზდა“).

გადავუღობოთ მტერს გზა ტულისაკენ!

მოსკოვი, 31 ოქტომბერი („კომუნისტის“ საკ. კორ.). „კრასნაია ზვეზდის“ სპეციალური კორესპონდენტი იუწყება შემდეგს ორიოლის მიმართულებით წარმოებული ბრძოლის შესახებ: „მტერი უკანასკნელ ძალებს სძაბავს, რათა სძლიოს საბჭოთა თავდაცვის წინააღმდეგობა და სამხრეთიდან გასწმინდოს გზა მოსკოვისაკენ. ორიოლის მიმართულებით მოქმედი ჩვენი ჯარის ნაწილები 28 ოქტომბერს იძულებული გახდნენ ფაშისტთა ჭარბი ძალების შემოტევის შედეგად რამდენიმე დაიწიათ უკან. მთელ დღეს განსაკუთრებით ფიცხელი ბრძოლები სწარმოებდა. მამაცი მებრძოლები მტკიცედ იცავდნენ ყოველ ზღუდეს, სპობდნენ გერმანელთა ქვეითს ჯარს, ტანკებს, არტილერიას. ჩვენი ჯარის ნაწილები მტერს დიდ ზარალს აყენებენ. გზატკეცილი, რომელიც ტულაზე გერმანელთა შეტევის ღერძს წარმოადგენს, სავსეა მანქანების, თვითმფრინავების, დამწვარი ტანკების ნამსხვრევებით და ათასობით ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებით. მაგალითად, სოფელ ტ-სთან ერთ-ერთ ბრძოლაში გერმანელებმა დაკარგეს 80-ზე მეტი ტანკი, 100-ზე მეტი სატრანსპორტო ავტომანქანა, არანაკლებ ათასი მოკლულისა. 29 ოქტომბერს დიდი ზარალი მიაყენა მტერს № საარტილერიო ნაწილმა. მძლავრი და მარჯვე ცეცხლით მან გაანადგურა გერმანელთა დიდი მოტოკოლონა, რომელიც შესდგებოდა 15 ტანკისა, 20 ჯავშნიანი მანქანისა და 65 ავტომანქანისაგან. ჩვენს ავიაციას მასირებული იერიშები მიჰქონდა ჯარების კოლონებსა და ჯარების თავმოყრის ადგილებზე. წითელი არმიის ნაწილები აქტიურად იცავენ თავიანთ ფლანგებს, ამაგრებენ თავდაცვით ხაზებს. და ჩვენ მაინც უკანდახევა გვიხდება. გერმანელები მოილტვიან ტულისაკენ. ტულის რაიონში საშიფათო ვითარება შეიქმნა. გადავუღობოთ მტერს გზა ტულისაკენ! ფაშისტთა გააფთრებულ იერიშებს ვუპასუხოთ მტკიცე აქტიური თავდაცვით“.

ხარკოვისათვის ბრძოლებში გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს

მოსკოვი, 31 ოქტომბერი („კომუნისტის“ საკ. კორ.). „კრასნაია ზვეზდაში“ დაბეჭდილია კორესპონდენცია მისი სპეციალური კორესპონდენტისა, რომელიც გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ იქნა დატოვებული ხარკოვი. ხარკოვისათვის ბრძოლები დაახლოებით თვენახევარს გრძელდებოდა. მთელ რიგ პუნქტებში დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადასვლის შემდეგ გერმანელებმა დასახეს ხარკოვისაკენ შეტევის ორი მიმართულება: სამხრეთ-დასავლეთიდან და დასავლეთიდან. გერმანიის სარდლობა ვარაუდობდა რამდენიმე დღის განმავლობაში გაევლო 600-700 კილომეტრი მანძილი და ქალაქი ერთი დარტყმით ჩაეგდო ხელში. მან ქალაქის აღების ვადაც კი დანიშნა—სექტემბერი. მაგრამ წითელი არმიის სიმტკიცემ და გმირობამ ეს ვარაუდი ჩაფუშა. ჩვენმა ჯარებმა ხარკოვი დასტოვეს მხოლოდ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, რომლებშიც ძლიერ დაჰანცეს მტერი. ხარკოვისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე იყო უკანასკნელი 3-4 კვირის განმავლობაში. გერმანელები ქალაქთან მივიდნენ ბოგოდუხოვისა და ლიუბოტინის მხრიდან. გაიმართა ფიცხელი ბრძოლები. მტერი აქ ძლიერ თავდაცვას წააწყდა. ცალკეული დასახლებული პუნქტები რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. გერმანელებმა აქ დიდი ზარალი განიცადეს და სასწრაფოდ იწყეს რეზერვების მოყვანა. მათმა დივიზიებმა მიიღეს რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი, ახალი იარაღი, ტანკები, ქვემეხები. თავისი ძალების გადაჯგუფებისა და შევსების შემდეგ გერმანელები კვლავ დაიძრნენ ხარკოვისაკენ. მაგრამ ჩვენმა ჯარის ნაწილებმა აქ მტერს ახალი სიურპრიზი მოუმზადეს. გერმანელთა ზურგში მოულოდნელად გამოჩნდნენ გენერალ-მაიორ ბელოვის ნაწილები. ისინი ოსტატურად მანევრობდნენ და ფიცხელი იერიშებით მტერს საგრძნობ ზარალს აყენებდნენ, ფუშავდნენ მის ზურგს. ქალაქ შტეპოვკაში ბელოვის ნაწილებმა ფაშისტებს გაუმართეს დიდი ბრძოლა, რომელშიც გერმანელებმა დაკარგეს 5.500 ჯარისკაცი და ოფიცერი, 500 ავტომანქანა, 250 მოტოციკლი, 15 ტანკი, 150 ქვემეხი, მრავალი შაშხანა და ტყვიამფრქვევი. ეს გერმანელთა დიდი დამარცხება იყო, რომლის გამოსწორება მათ შესძლეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრძოლაში ახალი მრავალათასიანი რეზერვები გამოიყვანეს. ხარკოვზე შეტევის განგრძობა მათ შესძლეს მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მიაღწიეს იმას, რომ მათი ძალები და ტექნიკა დაახლოვებით სამმაგად სჭარბობდა ჩვენსას. ფაშისტებმა, რომლებსაც რიცხობრივად უზარმაზარი არმია ჰყავდათ, განუწყვეტელი ბრძოლებით, ჩვენი ჯარების წინააღმდეგობის გაჭირვებით დაძლევის შემდეგ შესძლეს ხარკოვთან მისვლა. ბრძოლები ახალი ძალით გაჩაღდა ქალაქის მისადგომებთან. ისინი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. თავდამცველთა წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, რომ გერმანელები დღეღამეში 1-2 კილომეტრის გავლას ძლივს ახერხებდნენ. ამავე დროს მიმდინარეობდა ქალაქის ევაკუაცია. ფრონტზე ისეთი საერთო ვითარება იქმნებოდა, რომ სტრატეგიული მოსაზრება დაჟინებით გვკარნახებდა ხარკოვის ევაკუაციის საჭიროებას. დასახულ იქნა ამოცანა ქალაქიდან გაგვეტანა ყველა უმნიშვნელოვანესი საწარმო, გაგვეყვანა რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა, გაგვეტანა ნედლეული, სურსათი და სხვ. ეს ამოცანა საუცხოოდ იქნა შესრულებული. ყველაფერი, რაც კი ხარკოვში ძვირფასი რამ იყო, ევაკუირებულია. ევაკუირებულია ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, ტურბოგენერატორების ქარხანა, ელექტრომაგბობანი, ქარხანა „სერპ ი მოლოტ“ და სხვ. საწარმოები. სამხედრო მნიშვნელობის წვრილი საწარმოები უკანასკნელ საათებში აფეთქებულ იქნა. გერმანელებს დარჩათ დაცარიელებული ქალაქი. ხარკოვის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამაც დროზე დასტოვა ქალაქი. წითელი არმიის ნაწილები ევაკუაციის დამთავრების შემდეგ კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში აკავებდნენ მტრის შემოტევას და მას ქალაქში არ უშვებდნენ. აქ მთელ რიგ უბნებზე სისხლისმღვრელი ბრძოლები სწარმოებდა. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალაქში აღარაფერი დარჩა, როდესაც მცხოვრებლები წავიდნენ, გაცემულ იქნა ბრძანება ხარკოვის დატოვების შესახებ. გერმანელთა ძლიერ დაზარალებული, ქანცგამოლეული ჯარის ნაწილები შევიდნენ უდაბურ ქალაქში.

ვ. უარა-მურზა

იერიშით თავდასხმა გერმანელთა აეროდრომზე

ჩრდილოეთ - დასავლეთის ფრონტი, 3 ნოემბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). 30 ოქტომბერს საავიაციო შენაერთის მფრინავები საბჭოთა კავშირის გმირის კუცევალოვის მეთაურობით წარმატებით დაესხნენ თავს გერმანელთა აეროდრომს სტარაია რუსაში.

29 ოქტომბერს, საღამოხანს, საჰაერო დაზვერვამ გამოარკვია, რომ ამ აეროდრომზე თავმოყრილი იყო 40-მდე ბომბდამშენი „იუ-88“ და ავიაგამანადგურებელი „მე-109“. სარდლობამ გადასწყვიტა უეცრად დასხმოდა თავს აეროდრომს. ღამით, საჰაერო დაზვერვის ცნობების მიღების რამდენიმე საათის შემდეგ, მტრის აეროდრომისაკენ გაფრინდა 5 საბჭოთა ბომბდამშენი. მათ წინაშე დასახული იყო ამოცანა: დაენგრიათ აეროდრომი და სრულიად გაეფუჭებინათ საფრენი ველი. თოვა და ქარი მეტად აძნელებდა საბრძოლო ამოცანის შესრულებას. ამის მიუხედავად, მფრინავები სწორედ დასახულ დროს გაჩნდნენ სამიზნის თავზე და რამდენიმე ათასი კილოგრამი ფუგასური ავიაბომბი ჩამოჰყარეს. აფეთქების ალი ღამის წყვდიადში მოსჩანდა მთელ უბანში. წარმატებით დაბომბვის შემდეგ სხვადასხვა ადგილას ხანძარი გაჩნდა.

30 ოქტომბერს, განთიადზე, სტარაია რუსას აეროდრომზე იერიში მიიტანეს მაიორ დელნოვის თვითმფრინავებმა. მათ ქვეშ იყო ღამით ჩვენი ბომბდამშენების მიერ გადახნული საფრენი ველი, ღრმა ძაბრებით დაფარული. გერმანელთა თვითმფრინავები ჰაერში ვერ აფრინდნენ. მოიერიშეებს საზენიტო არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლი შეაგებეს. მაგრამ ამ ცეცხლითმა დაბრკოლებამ ვერ გააჩერა მაიორი დელნოვი და მისი ამხანაგი მფრინავები მოსოვი, პარამონოვი და ფლოროვი. მათ რამდენჯერმე მიიტანეს ბომბით იერიშები ანგარებთან მდგარ გერმანელთა თვითმფრინავებზე და მცელავი ფრენით დახოცეს აეროდრომის მომსახურენი. პირველსავე იერიშების შემდეგ რამდენიმე თვითმფრინავს ცეცხლი მოედო.

გერმანელთა აეროდრომზე იერიშით თავდასხმის შედეგად დაიწვა ფაშისტთა 5 „იუნკერსი“ და „მესერშმიტი“. 10 თვითმფრინავი მოსპობილია ავიაბომბების პირდაპირი მოხვედრით. ფაშისტთა მრავალი მანქანა მძიმედ დაზიანდა. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ბ. აფანასიევი.
ი. დენენბერგი.

მოქმედი არმია (დასავლეთის მიმართულება). ხიშტის კვეთებით ჩვენი მებრძოლები ერეკებიან გერმანელებს ზ-ს ტყიდან. სურათზე: ფაშისტები ტყვედ ნებდებიან ჩვენს მებრძოლებს.
ფოტო გარანინისა.

დონბასისათვის ბრძოლებში

მოქმედი არმია, 3 ნოემბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტებისაგან). დონბასი გააფთრებით უმკლავდება მტერს.

მტერმა იცის, თუ რაოდენ ძვირფასია ჩვენთვის უთვალავი სიმდიდრის ეს მხარე, ქვანახშირის, ლითონისა და ქიმიის მხარე. ფაშისტების გამძვინვარებული ურდოები მოძვრებიან დონბასისაკენ, რათა დაულად ჩაიგდონ იგი ხელში, რათა საბჭოთა მაღაროელები ყურმოჭრილ მონებად აქციონ, მაგრამ მათ ყველგან ხვდება თავდაცვის მძლავრი მუშტი. ჰიტლერელები თავისიანების სისხლის მდინარეებით ზღავენ თვითეულ დაპყრობილ დაბას, თვითეულ შახტს, თვითეულ ქარხანას. ყველგან, სადაც კი მტერი აღწევს, მას ხვდება ჩაქრობილი ბრძმედები, ქარხნების აფეთქებული საამქროები და წალეკილი შახტები. იოლად როდი აღწევს იგი დროებითს წარმატებას.

წითელი არმიის ნაწილების დასახმარებლად აღსდგნენ დონბასის მეშახტეები, მეტალურგები, ქიმიკოსები და რკინიგზელები. ხალხი ბარ-ნიჩბითა და წერაქვებით გამოდის ველზე სანგრებისა და ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებათა გასათხრელად.

გერმანელებმა რამდენიმე ათასი კაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით ქ. სტალინოს მისადგომებზე. ბევრი მათგანი დაიღუპა ქუჩებში ბრძოლის დროს. აქ სტალინის სახელობის ქალაქის დონბასის მაღაროელები და მეტალურგები თვითონ სჭედავდნენ ჯავშანს, თვითონ აწყობდნენ ჯავშნიან მანქანებს და თვითონვე მიჰყავდათ ისინი ბრძოლაში. დაბა ზუევკა სამჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. აქ მუშებმა და № ცხენოსანმა პოლკმა დაამარცხეს გერმანელთა სამთო - მსროლელი დივიზიის ორი პოლკი, სნეჟნაიას რაიონში მაღაროელებმა მოსპეს ბატალიონზე მეტი გერმანელთა ქვეითი ჯარი და ერთი ასეული მეავტომატენი.

მტრისადმი წმინდა სიძულვილი წარმოშობს სამამულო ომის ასობით ახალ გმირს. ლენინის სახელობის ქარხნის ცვლის ტექნიკოსი დიმიტრი მიროშნიჩენკო ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაურის თანაშემწე გახდა. მასთან ერთად მხარდამხარ იბრძვის მისი ძმა ნიკოლოზი. ძმათა მიროშნიჩენკოების ნაღმმტყორცნელთა გუნდმა მტრის არა ერთი ათეული საცეცხლე წერტი მოსპო, არაერთი ფაშისტი დაიღუპა მათი მარჯვე ცეცხლისაგან.

მყველავი მემანქანე ივანე ჩუმაკი ერთერთი საშახტო ნაწილის რიგითი მსროლელია. მან უკვე დაიმკვიდრა ინიციატივიანი, გულადი მზვერავის სახელი. ამასწინათ იგი მტრის განლაგებაში შევიდა და ჩინებულად დაზვერა მისი საცეცხლე წერტები. დაბრუნებისას მან გამოიყვანა დაჭრილი წითელარმიელი. მზვერავი ჩუმაკი თავის ნაწილში დაბრუნდა ორი ნაღმსატყორცნითა და ოთხცხენზე აკიდებული ნაღმების კარგა დიდი რაოდენობით.

დონბასისათვის ბრძოლა გრძელდება.

ვ. სოგოლევი
ა. მალიგაშაევი

შეუპოვარი ბრძოლები სამხრეთის ფრონტზე

მოსკოვი, 3 ნოემბერი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). დონბასის სამხრეთით გაჩაღებულ ბრძოლების შესახებ „პრავდა“ იუწყება:

2 ნოემბერს სამხრეთის ფრონტის მთელ რიგ უბნებზე მტერი შეტევაზე გადმოვიდა. სოფელ კ-ის რაიონში მოქმედებდა გენერალ კლეისტის მე-16 სატანკო დივიზია. მტერმა წინ გამოიყვანა ასზე მეტი ტანკი და დიდძალი მოტორიზებული ქვეითი ჯარი. ერთ ადგილას გერმანელებმა მოახერხეს ჩვენს თავდაცვაში შემოჭრა და რამდენიმე კილომეტრზე წამოწევა. მთელი დღის განმავლობაში ამხ. გონჩაროვის ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან, და საღამოსათვის ფაშისტთა შემოტევა შეჩერებულ იქნა.

გააფთრებული ბრძოლა სწარმოებდა ფრონტის მეორე უბანზე. გერმანელების სამმა ქვეითმა დივიზიამ, რომლებსაც ტანკები ეხმარებოდნენ, დილიდან დაიწყო წინ წამოწევა. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ფაშისტებმა სოფელი კ. დაიკავეს. ამხ. პროვალოვის მებრძოლ-მაღაროელებს ბრძანება მიეცა უკუექციათ მტერი და გარეკათ იგი დაკავებული სოფლიდან. რამდენიმე საათის ბრძოლები ქუჩებში სწარმოებდა. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელა თავი კაპიტან ყიფიანის ნაწილმა. ფაშისტებმა ვერ გაუძლეს გაბედულ იერიშს და უკუიქცნენ წინანდელ პოზიციებზე.

გუშინვე მტერმა კვლავ სცადა ხელში ჩაეგდო პუნქტი გ. ერთი დღით ადრე ქალაქზე იერიში მიიტანა იტალიელთა ქვეითი ჯარის პოლკმა. ჩვენი არტილერისტებისა და ქვეითი მებრძოლების მწყობრმა ცეცხლმა გაჰფანტა მტრის კოლონა. იტალიელებმა გადასწყვიტეს რევანში აეღოთ და გუშინ შეტევაზე გადმოიყვანეს ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. ისევე როგორც წინა დღეს, ისინი იძულებული გახდნენ საჩქაროდ უკან დაეხიათ.

სამხრეთის ფრონტზე შეუპოვარი ბრძოლები გრძელდება. ფაშისტები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ ხელში ჩაიგდონ საბჭოთა დონბასი, გაიკაფონ გზა დონისა და კავკასიისაკენ. მტერი ყველგან აწყდება საბჭოთა სამხრეთის თავდაცვის გმირების შეუპოვარ წინააღმდეგობას.

ემელიან იაროსლავსკი

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავისათვის

1917 წლის 7 ნოემბერს კრეისერ „ავრორიდან“ გასროლამ მსოფლიოს აუწყა, რომ დაიწყო კაცობრიობის ახალი ერა — სოციალიზმის ერა. წარმოიშვა სახელმწიფოს ახალი სისტემა—საბჭოთა სისტემა. ეს იყო რუსეთის პროლეტარიატის—მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდის უდიდესი გამარჯვება, რომელსაც დასჭირდა რუსეთის მუშათა და გლეხთა რამდენიმე ათეული წლის ბრძოლა, დასჭირდა სამი რევოლუცია. ეს იყო უდიდესი გამარჯვება რუსეთის ხალხებისა, რომლებიც აქამდე გათიშული იყვნენ ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკით. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ შესაძლებლობა მისცა რუსეთის ხალხებს აეშენებინათ დიადი ურღვევი თანამეგობრობა, გაეერთიანებინათ ძალები, რათა აეშენებინათ ძლიერი, კულტურული მოწინავე სახელმწიფო, შეექმნათ მძლავრი სოციალისტური მეურნეობა, პირველხარისხოვანი სოციალისტური მრეწველობა და გმირული წითელი არმია, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 24 წლის განმავლობაში დაიცვა საბჭოთა ხალხის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ძლიერება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ხალხს სათავეში ედგა მრავალი ათეული წლის მანძილზე ნაცადი ბოლშევიკური პარტია, ლენინ-სტალინის პარტია. დაუმთავრებელი პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის უძნელეს პირობებში მან ერთ ნაკადად გააერთიანა საერთო - დემოკრატიული მოძრაობა ზავისათვის, გლეხთა დემოკრატიული მოძრაობა მემამულეების წინააღმდეგ, ჩაგრულ ხალხთა ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარიატის ბრძოლა სოციალიზმისათვის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი „... ნიშნავს ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიულ ბედ-იღბალში, ძირეულ გარდატეხას მსოფლიო პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ძირეულ გარდატეხას მთელი მსოფლიოს ექსპლოატირებულ მასათა ბრძოლის წესებსა და ორგანიზაციის ფორმებში, ყოფაცხოვრებასა და ტრადიციებში, კულტურასა და იდეოლოგიაში“ (სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 221-222).

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას რუსეთის ხალხებმა მიაღწიეს ბრძოლით ზავისათვის, პირველი იმპერიალისტური ომიდან რევოლუციის გზით გამოსვლისათვის. მშვიდობიანობის დროშის ქვეშ ხდებოდა ოქტომბრის რევოლუციის ძალთა შემოკრება. ზავისათვის ბრძოლაში საბჭოთა რუსეთმა მაშინ უდიდესი მსხვერპლი გაიღო. სამ წელიწადს იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფო იმპერიალისტებისა და თეთრგვარდიელთა არმიების გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ აღედგინათ ექსპლოატატორთა ძალაუფლება, დამხობილი 1917 წლის ოქტომბერში. ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე ამ გამარჯვების მეოხებით, საბჭოთა ხალხი ოც წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სარგებლობდა შესაძლებლობით ეშენებინა თავისი მეურნეობა, განევითარებინა კულტურა, აემაღლებინა თავისი ხალხის კეთილდღეობის დონე, განემტკიცებინა მშვიდობიანი დამოკიდებულება ყველა ქვეყანასთან და მშვიდობისმოყვარე ხალხებთან. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი ამ წლების მანძილზე, ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მიისწრაფოდნენ იქითკენ, რომ უზრუნველეყოთ მშვიდობა ყველა ხალხებთან. მათ გააკეთეს ყველაფერი, რათა დაეცვათ მშვიდობიანობის საქმე განიარაღების საერთაშორისო კონფერენციებზეც, ერთა ლიგაშიც, სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების გზითაც. ამ ბრძოლაში მშვიდობიანობისათვის საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სიმპატიები. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 24 წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა ცხადჰყო უდიდესი უპირატესობა საბჭოთა სისტემისა, ვინაიდან „საბჭოთა წყობილება არის მაქსიმუმი დემოკრატიზმისა მუშებისა და გლეხებისათვის“ (ლენინი, ტომი XXVII, გვ. 26).

24 წლის განმავლობაში საბჭოთა წყობილების უდიდეს გამარჯვებათა გამოხატულებას წარმოადგენს სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუცია, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველჰყოფს საბჭოთა ხალხების ყველა ძალის აყვავებას.

თავისი წარმოშობის დასაწყისშივე საბჭოთა სახელმწიფომ გაუძლო გააფთრებულ მხეცურ შემოტევას გერმანიის იმპერიალიზმის მხრივ, რომელიც უკვე მაშინ, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, ცდილობდა დაემყარებინა თავისი მსოფლიო ბატონობა. კაიზერ ვილჰელმის არმიები ცდილობდნენ ჩაეხრჩოთ მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო. ამ არმიებმა დაიკავეს მთელი ბალტიისპირეთი, ისინი ეხმარებოდნენ ფინელ თეთრგვარდიელებს ჯალათ მანერჰეიმის მეთაურობით, ხელთ იგდეს ბელორუსია, უკრაინა, დონბასი, ყირიმი, როსტოვი, ამიერ-კავკასია.

გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში 1918 წელს შეიქმნა მძლავრი წითელი არმია, გაიზარდა პარტიზანული მოძრაობა, რომელმაც მოგვცა ხალხის წიაღიდან გამოსული ისეთი გმირები, როგორიც იყვნენ შჩორსი, კოტოვსკი, პარხომენკო, ლაზო. საბჭოთა ხალხს აღმოაჩნდა ძალები იმისათვის, რომ განედევნა გერმანელი ინტერვენტები. გერმანიის იმპერიალიზმი განადგურებულ იქნა, მიუხედავად მისი ძალიან დიდი გამარჯვებებისა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ მან დაიკავა უზარმაზარი ტერიტორია. „ჯერ იგი წარმოუდგენლად გაიბერა ევროპის თითქმის სამ მეოთხედ ნაწილზე, გასივდა, შემდეგ კი იქვე გასკდა და უსაშინელესი სიმყრალე გამოუშვა“ (ლენინი, ტომი XXIII, გვ. 266).

თეთრგვარდიელ და მეფის გენერლების — დენიკინის, იუდენიჩის, კუტეპოვის, შკუროს, მამონტოვისა და სხვების არმიები 1919 წლის ოქტომბერში მოსკოვს უახლოვდებოდნენ, მათ დაიკავეს ვორონეჟი, ორიოლი, ემუქრებოდნენ ტულას, ცდილობდნენ გაჭრილიყვნენ მოსკოვისაკენ. გენერალ იუდენიჩის არმია პეტროგრადს უახლოვდებოდა. საბჭოთა ქვეყნის ორი დიდი ქალაქი 22 წლის წინათ უდიდეს საფრთხეში იყო. მაგრამ საბჭოთა ხალხს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური პარტია ლენინისა და სტალინის მეთაურობით, აღმოაჩნდა ძალები იმისათვის, რომ გაენადგურებინა ინტერვენტები და განედევნა ისინი საბჭოთა სახელმწიფოდან, გაენადგურებინა რუსეთის კონტრრევოლუცია, მოეხდინა თეთრგვარდიელთა არმიების ლიკვიდაცია, მიუხედავად იმისა, რომ მტერს დიდი უპირატესობა ჰქონდა შეიარაღებაში, იგი უფრო მდიდარი იყო საშუალებებით, ტექნიკით, გამოცდილ მეთაურთა შემადგენლობით.

წითელმა არმიამ მაშინ მტრებზე გაიმარჯვა იმიტომ, რომ ეს იყო ნამდვილი ხალხური არმია, რომელიც იცავდა თავისი ხალხის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. წითელ არმიას ესმოდა საბჭოთა ხელისუფლების სწორი პოლიტიკა, მიმართული ხალხის კეთილდღეობისაკენ, და იცავდა ამ პოლიტიკას. წითელი არმია ბოლომდე ერთგული და თავდადებული იყო თავისი ხალხისადმი, რისთვისაც იგი უყვარდა საბჭოთა ხალხს და მხარს უჭერდა მას, როგორც თავის მშობლიურ არმიას.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ფეხზე დაეყენებინა მთელი ზურგი, მთელი ქვეყანა ფრონტის ინტერესების მომსახურებისათვის, გადაექცია მთელი ქვეყანა სამხედრო ბანაკად, რომელიც ფრონტს ამარაგებდა იარაღით, საომარი მასალით, ჩაცმულობით, სურსათით, ახალი ძალებით. ომის მიზნისა და ამოცანების სისწორის შეგნება განამტკიცებდა წითელი არმიის სულს, დისციპლინასა და ბრძოლისუნარიანობას. ამიტომ წითელარმიელთა მასები მტრებთან ბრძოლაში უმაგალითო თავდადებას და არნახულ მასობრივ გმირობას იჩენდნენ.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ წითელი არმიის ზურგისა და ფრონტის ხელმძღვანელი ბირთვი იყო ბოლშევიკების პარტია—ერთიანი თავისი დარაზმულობითა და დისციპლინით, ძლიერი თავისი რევოლუციური სულისკვეთებით და მზადმყოფი გაეღო ყოველგვარი მსხვერპლი საერთო საქმის წარმატებისათვის, უბადლო თავისი უნარით — დაერაზმა მილიონიანი მასები და სწორად ეხელმძღვანელნა მათთვის რთულ ვითარებაში.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მან შესძლო გამოეჭედა ახალი ტიპის სამხედრო ხელმძღვანელნი თვით ხალხის წიაღიდან, მან ათობით და ასობით დააწინაურა ბუნებით გმირები, რომლებიც თავისი უმაგალითო სიმამაცით, გულადობით და სიკვდილის არაფრად ჩაგდებით ადაფრთოვანებდნენ წითელ არმიას გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ მან შექმნა ორგანიზატორთა და აგიტატორთა კადრები, სამხედრო კომისართა კადრები, რომლებიც თავისი მუშაობით და თავისი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდნენ წითელარმიელთა რიგებს, ნერგავდნენ მათ შორის დისციპლინისა და საბრძოლო სიმამაცის სულისკვეთებას, ენერგიულად სპობდნენ — სწრაფად და ულმობლად — მეთაურთა შემადგენლობის ცალკეული პირების მოღალატურ მოქმედებას, და, პირიქით, გაბედულად და გადაჭრით იცავდნენ იმ ძველ მეთაურთა, პარტიულთა და არაპარტიულთა ავტორიტეტს, რომლებმაც დაამტკიცეს თავისი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და რომელთაც უნარი შესწევდათ მტკიცე ხელით გაეტარებინათ წითელი არმიის ნაწილების ხელმძღვანელობა.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ თეთრგვარდიელთა არმიების ზურგში არალეგალურად მოქმედებდნენ შესანიშნავი ბოლშევიკები, პარტიულები და არაპარტიულები, რომლებიც აწყობდნენ პარტიზანთა რაზმებს, მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს აჯანყებისაკენ ინტერვენტების წინააღმდეგ, არყევდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრების ზურგს და ამით უადვილებდნენ წინსვლას წითელ არმიას.

დასასრულ, წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყანა მარტოდმარტო არ იყო თავის ბრძოლაში თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლამ და მისმა წარმატებებმა მთელი მსოფლიოს პროლეტართა და მშრომელთა თანაგრძნობა და დახმარება გამოიწვია.

საბჭოთა ხელისუფლების მტრებზე წითელი არმიის გამარჯვების ეს პირობები, რომლებმაც უზრუნველჰყო გამარჯვება ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე სამოქალაქო ომში, კიდევ უფრო მძლავრი ფაქტორები გახდა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ეს ომი თავს მოგვახვია ჰიტლერის გერმანიამ, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს მუხანათურად დაესხა თავს საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს. და თვით წითელი არმიაც ამ წლებში გაიზარდა კიდევ უფრო მძლავრ ძალად, რომელიც შეიარაღებულია თანამედროვე სამხედრო ტექნიკით და რომელმაც უკვე გააფანტა მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების XXIV წლისთავს სსრ კავშირის ხალხები ხვდებიან მრისხანე ვითარებაში სსრ კავშირის დიდი სამამულო ომისა ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც მუხანათურად დაგვესხა თავს. ისევე, როგორც 23 წლის წინათ, ყველა დემოკრატიული ქვეყნებისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხების უბოროტეს მტერთა ურდოები, გერმანელ იმპერიალისტთა, ყველაზე ცუდი ტიპის იმპერიალისტთა, გერმანელ მეფაბრიკეთა, მექარხნეთა და სხვათა მხეცური ტერორისტული დიქტატურის დამცველთა საზიზღარი ურდოები და ჰიტლერული ხროვის: ჰიტლერის, გერინგის, გებელსის, ჰიმლერისა და სხვათა დამქაშების ბილწი, საზიზღარი, პირსისხლიანი ჯალათებისა და მეკობრეების ბანდები კვლავ დაესხნენ თავს ჩვენს მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, ხელთ იგდეს დიდი ტერიტორია და ცდილობენ გამოიჭრან მოსკოვისა და ლენინგრადისაკენ. ბელორუსია, უკრაინა, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, მოლდავეთი და ბესარაბია, კარელია-ფინეთის რესპუბლიკა კვლავ ხელში ჩაიგდეს ფაშისტმა მხეცებმა, რომლებიც გაუგონარ ტანჯვა-წამებას აყენებენ საბჭოთა ადამიანებს. ყველაზე საშინელი ტანჯვა-წამება, ძალადობა გერმანელი იმპერიალისტების მხრით, რომლებიც ოცნებობენ მთელი მსოფლიოს დაპყრობაზე, თავს დაატყდა საბჭოთა ადამიანებს.

„მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გაагერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ - სიცოცხლეს, საქმე ეხება იმას—თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ“ (სტალინი. 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმული სიტყვა).

უკვე ოთხთვენახევარია გრძელდება ისტორიაში ცნობილი ყველა ომებიდან ეს ყველაზე სისხლისმღვრელი ომი. ჰიტლერმა საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ გამოიყვანა არა მარტო მთელი თავისი არმია, არამედ აგრეთვე იტალიელთა, რუმინელთა, უნგრელთა, ფინელთა არმიები, თეთრგვარდიელ-მოხალისეთა ბანდები, იგი სსრ კავშირის წინააღმდეგ აყენებს არა მარტო იმ იარაღს, რომელიც ქარხნებში მზადდება და რომელიც წლების განმავლობაში გერმანელი

კომუნისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის რაიონის მშრომელები ეხმარებიან ფრონტს

ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მითითებათა საფუძველზე გორის რაიონის ბოლშევიკებმა სამამულო ომის ამოცანებთან შეფარდებით გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და მთელ რიგ გადამწყვეტ უბნებზე სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს. კამოს სახელობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ხოფერია, პარტბიუროს მდივანი ამხ. მაკრახიძე) წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ვადამდე 158 პროცენტით შეასრულა ოქტომბრის გეგმა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 24,6 პროცენტით გაადიდა. ამავე დროს ქარხანამ პროდუქციის თვითღირებულება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,3 პროცენტისა, შეამცირა 7,3 პროცენტით.

ქარხანაში წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე დღითიდღე იზრდება ორასოვანთა რიცხვი. მზა პროდუქციის საწყობის მუშა თამარ თრიაქაძე დღიურ დავალებას ნაცვლად წინანდელი 130 პროცენტისა 220-230 პროცენტით ასრულებს. ასეთივე წარმატებით ასრულებენ დავალებებს ამავე საამქროს მუშები: ნინო კიკაბიძე, ჟ. საქუაშვილი, თ. კველიშვილი და სხვ. ხორცის დამზადებაზე მომუშავე შ. მექერიშვილი კი ზოგჯერ 300 პროცენტითაც.

ასეთივე ენტუზიაზმით მუშაობენ და გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ლ. ბერიას სახელობის ა. კ. რკინიგზის გორის სადგურის მუშა-მოსამსახურეები (სადგურის უფროსი მიკროპოლოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ნინუა). დატვირთვის 9 თვის გეგმა აქ შესრულებულია დიდი გადაჭარბებით. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე სამკერვალო არტელი „ქართლი"—9 თვის საწარმოო გეგმა შეასრულა 139 პროცენტით, არტელი „ლიახვი"—104,4 პროცენტით და სხვ.

გორის რაიონის საწარმოებს არც კოლმეურნეობები ჩამორჩნენ. კოლმეურნეობები, ჩაებნენ რა წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით ასრულებენ საშემოდგომო თესვის და მოსავლის აღების გეგმებს. საშემოდგომო სამუშაოებს შარშანდელთან შედარებით ბევრად უფრო ადრე ამთავრებენ. ამავე დროს სამამულო ომთან დაკავშირებით საშემოდგომო კულტურებს 2.491 ჰექტარით მეტს სთესენ—ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15.030 ჰექტარისა—17.521 ჰექტარს. საშემოდგომო თესვა უკვე მთავრდება.

გორის რაიონის კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შეგნებული აქვთ სამამულო ომის ამოცანები, ისინი პირნათლად იხდიან თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 97,9 პროცენტით, ერბოს ჩაბარებისა — 98,2-ით, ყველისა—92-ით, მატყლისა — 84 პროცენტით. კოლმეურნეები წარმატებით აბარებენ აგრეთვე ბოსტნეულს, კარტოფილს და ხილს. მარტო ატამი, ქლიავი და ბალი უკვე ჩაბარებულია 702 ტონა—წლიური გეგმის 128 პროცენტი, ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის და სხვა პროდუქტების ჩაბარება გაცხოველებით მიმდინარეობს, ვადაზე ადრე და მთლიანად მოიხადეს სახელმწიფო ვალდებულებები — კარალეთის, ზემო-სკრის, ქვემო-ახალსოფლის, ჩელთუბნის, ახალშენის, ქვემო-ნიქოზის, დიდი-ბერშუეთის და სხვა კოლმეურნეობებმა.

რაიონის მშრომელებმა დიდი ენტუზიაზმით შეაქვთ თავიანთი წვლილი თავდაცვის ფონდში. თავდაცვის ფონდში ჯერჯერობით შეტანილია ფულად 228.700 მანეთი და 653.620 მანეთის ობლიგაციები, აგრეთვე ვერცხლი 5,72 კილოგრამი, ოქრო—27 გრამი, მარცვლეული 85 ცენტნერი, კარტოფილი 44 ცენტნერი.

წითელი არმიის მამაცი მებრძოლებისათვის რაიონში შეგროვილია 1.639 წყვილი მატყლის წინდა, 101 ცალი შარვალი, 105 ქურთუკი, 180 თბილი ქუდი, 295 პირსახოცი, 101 ზეწარი, 303 ბალიშის პირი, 753 საცვალი, 79 ლეიბის პირი, 27 წყვილი ტყავისა და ნაბდის ჩექმები, 1.552 ფუფაიკა და სვიტერი, 219 წყვილი თბილი საცვალი, 41 ხალათი, 446 ცხვრის ტყავი, 208 კილოგრამი მატყლი, 764 ხელთათმანი და 994 ცალი სხვა ნივთი. თბილი ტანსაცმლის შეგროვება წარმატებით გრძელდება.

საწარმოო დავალებათა შესრულებასთან ერთად რაიონის მშრომელები გულმოდგინედ ეუფლებიან სამხედრო და საჰაერო-ქიმიური თავდაცვის საქმეს.

მიღწევებთან ერთად მუშაობაში არის ნაკლოვანებებიც. უნდა აღინიშნოს ჩამორჩენა მზრალად ხვნაში. ჩამორჩენილია აგრეთვე შაქრის ჭარხლის მიმღებ პუნქტებამდე გადაზიდვა. ზოგიერთი კოლმეურნეობა აჭიანურებს მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარებას, რაც შეუწყნარებელია განსაკუთრებით სამამულო ომის პერიოდში.

გორის რაიონის მშრომელები დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებას განუხრელად შეასრულებენ, ყველაფერს დაუმორჩილებენ ფრონტის ინტერესებს და ვერაგი მტრის—პირსისხლიანი ფაშიზმის განადგურების ამოცანებს და ჩვენს სახელოვან წითელ არმიას უზრუნველჰყოფენ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით.

ზ. მიხანაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი.

აფხაზეთმა ჩაის კრეფის გეგმა შეასრულა

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავს კიდევ ერთი ახალი წარმატებით ხვდებიან. მათ 4 ნოემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა შარშანდელზე 915 ტონით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

გ. მერკვილაძე

სტალინირის სატყეო კომბინატის წარმატება

სტალინირი („კომუნისტის" კორ.). სტალინირის სატყეო კომბინატი წარმატებით ასრულებს მნიშვნელოვან დავალებებს. კომბინატის კოლექტივმა წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრების გაშლით დიდი გადაჭარბებით შეასრულა ოქტომბრის საწარმოო გეგმა. გაიზარდა ორასოვანთა რიცხვი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებენ სტახანოველები ამხ. ალ. ტიბილოვი, გ. ცხოვრებოვი, ივ. გაგნიძე, ბ. ტიბილოვი და სხვ.

კომბინატის კოლექტივი კისრულობს წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულოს.

ფ. ზასეევი

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს

წულუკიძე („კომუნისტის" სპეც. კორ.). წულუკიძის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მუშა-ქალებმა შეჯიბრების შედეგად კიდევ უფრო გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. მარია მალნიევა, რომელიც ივნისამდე ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ყოველდღიურ ნორმას 180 პროც. ასრულებდა, ამჟამად 343,7 პროც. ასრულებს, ტატიანა შკონდა—290 პროც., ნასტია სვინარიოვა—205 პროც. და ასე შემდეგ.

შრომითი აღმავლობის შედეგად საბჭოთა მეურნეობამ ოქტომბრის გეგმა 245 პროც. შეასრულა.

წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ პირველი ნოემბრისათვის 108 პროც. შეასრულა წლიური გეგმა და 470 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 504 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ჩააბარა.

ჩაის კრეფა გრძელდება.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

საწარმოო დავალებებს წარმატებით ვასრულებთ

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად თვალსაჩინო საწარმოო გამარჯვებები მოიპოვა. ოქტომბერში გეგმის გადამეტებით 1926-27 წ. უცვლელ ფასებში 384.200 მანეთის პროდუქცია გამოვუშვით. ფაბრიკის კოლექტივმა განსაკუთრებით ისახელა თავი საპასუხისმგებლო დავალებების შესრულების საქმეში. ამ ხაზით ოქტომბერში ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივეცით 430 ათასი მანეთის პროდუქცია.

ოქტომბერში ფაბრიკის კოლექტივმა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები მოიპოვა. პირველი ხარისხის პროდუქცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65,5 პროცენტისა გამოუშვა 83 პროცენტი.

ოქტომბრის საწარმოო გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საქსოვმა (საამქროს უფროსი ამხ. ნ. ბახტაძე), სამღებრო-საფაბრიკო (საამქროს უფროსი ამხ. ვ. ჩიქოვანი) და მექანიკურმა საამქრომ (უფროსი ამხ. ვ. თევდორაძე). წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში მექანიკური საამქრო მთლიანად სტახანოვური გახდა, ამ საამქროს მუშები ნორმებს 120-დან 350 პროცენტამდე ასრულებენ.

ოქტომბერში დიდად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. გეგმით თვითეულ მუშას საშუალოდ 3,002 მანეთის პროდუქცია უნდა შეექმნა, ფაქტიურად კი შექმნა 3.834 მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 127,7 პროცენტს შეადგენს. შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში ბევრმა მუშამ და ოსტატმა ისახელა თავი. მქსოველები მ. გასპაროვა, ვ. ნაცვლიშვილი, ნ. პლანგინა, ა. იმნაძე და სხვები დავალებებს 115-162 პროცენტით ასრულებენ. ისინი დღითიდღე ზრდიან საწარმოო მაჩვენებლებს. მაგალითად, ა. იმნაძემ სექტემბრის გეგმა ვერ შეასრულა, ხოლო ოქტომბრისა 161,5 პროცენტით შეასრულა. ოქტომბრის გეგმა მხვეველმა ნ. არზუმანიანმა 142,2 პროცენტით შეასრულა, მქსელავმა ლ. ციცქიშვილმა—133 პროცენტით, მეაპრეტურე ვ. მჭედლიშვილმა—308 პროცენტით, ზეინკალმა თ. რამაზაშვილმა — 410 პროცენტით.

სამამულო ომის დღეებში ბევრმა სპეციალისტმა მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინა, რის შედეგადაც დეტალები და დამხმარე მასალები — მაქოები, ქსელის სავარცხლები, დგიმები და სხვა, რომლებიც აქამდე შორეული ადგილებიდან მოგვქონდა, ახლა ფაბრიკაშივე საკუთარი საშუალებებით მზადდება.

შ. სიმონიშვილი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორი.

ქარხანა ორასოვანი გახდა

გორი („კომუნისტის" საკ. კორ.). გორის საკონსერვო ქარხანამ წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ოქტომბრის გეგმა 208,5 პროცენტით შეასრულა და ამგვარად ორასოვან საწარმოდ გადაიქცა. უცვლელ ფასებში ქარხანამ 1.347.400 მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

მოწინავეა სამურაბე საამქრო (გამგე ამხ. ისამანოვი), რომელმაც გეგმა 210,4 პროცენტით შეასრულა. მას არც მთავარი საკონსერვო საამქრო (გამგე ამხ. რუსიშვილი) ჩამორჩენია, მან გეგმა 204 პროცენტით შეასრულა.

ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა ამხ. წულუკიძემ, მექერიშვილმა, მოციქულაშვილმა, კაკაბაძემ და სხვ. 215-228 პროცენტით შეასრულეს დავალებები.

ქარხნის კოლექტივი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ წლიური გეგმა 5 დეკემბრისათვის შეასრულოს, რაც მას ვალდებულად აქვს აღებული.

ხ. თვალჭრელიძე

იბრძვიან შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის

თბილისის სპილენძის საგლინავი ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ქარხანამ ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა ოქტომბრის გეგმა.

ამხ. ბეჟანოვის, ირემაშვილის და დავითაშვილის ბრიგადები გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ. მათ 3 დღით ადრე შეასრულეს მნიშვნელოვანი დავალება. ორასოვანნი გახდნენ ამხ. რაზგოევი, ტატულოვი და სხვები. თავდადებულად მუშაობს გლინვის გამოცდილი ოსტატი ამხ. ბ. ახობაძე. იგი 36 წელია აქ მუშაობს და შესანიშნავად იცის თავისი საქმე. ამხ. ახობაძე სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებული ენერგიით მუშაობს.

ქარხანაში ახდენენ აგრეთვე წარმოების პროცესის გაუმჯობესებას. ამ დღეებში აქ ადგილობრივი მასალებით დაამზადეს სპილენძის ფურცლების ამწევი მანქანა, რომელმაც შესცვალა აბაზანაში სპილენძის ხელით ჩატვირთვა. ამან 80 პროცენტით შეამცირა სამუშაო დრო და ორი კაცის შრომა დაზოგა.

ქარხნის კოლექტივი ახლა დაძაბულად მუშაობს წლიური გეგმის ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

თბილისის ხაროთქლმავლო დეპოს ზეინკალი ესტატე კაკაბაძე ჩაბმულია წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და დავალებას 300 პროცენტამდე ასრულებს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ხარატი არტემ ბაღდასაროვი, რომელმაც ერთ თვეში 491 მანეთის ნაცვლად 4.280 მან. 51 კაპ. გამოიმუშავა.

ფოტო რ. აკოფოვისა

გამარჯვებათა სარდალი

მზემ აიკეცა კალთები,
პირბადე გადაიფარა,
ზეცის ლაჟვარდზე გაშლილი
ოქროს კენჭები ეყარა.
ხალხს დაზრუნავდა ბელადი,
ბურანს რა მიაკარებდა!
უცებ მოიღო ქრიალი
სამშობლოს რკინის კარებმა,
შუბლი დაჯანღა მთებურად,
ხმალს მიაწვადა მარჯვენა:
ცამაც გაიგო, მიწამაც
მაჯაზე ელვის გაჩენა.
გულში ჩაიკრა სამშობლო
თავისი ნაამაგარი,
გართშემოავლო ჯავშანი
მკერდი დულაბზე მაგარი.
დუშმანთან შესარკინებლად
აამღელვარა მთაბარი,
შუღლი და რისხვა, ურიცხვი
გულიდან ამონაღვარი.
ზვავი მოსწყვიტა მწვერვალებს
მტრების მარჯვენის მტეხარი,
აანათოსა ჩანჩქერი
ჭიუხზე გადმომჭექარი.
ზღვაზე გრიგალი გაშალა
ცას შეანჩლია ტალღები,
კარს მიაყენა მოსისხლეს
დაულეველი ჯანღები.
გაუძლვა ყოველ მეომარს,
როგორც ცის დელგმა მჭექარი,
სიბრძნე, მსოფლიოს ნათელი
სანგარი გაუტეხარი.
დაუბინდავი იმედი
ულრუბლო მზეზეც მართალი,
მშვიდობის ლიბომდებელი,
გამარჯვებათა სარდალი.
დაულეველი ელვაა,
მტარვალთან შეომებული,
ოკიანეთა ღელვაა,
გრიგალი გალომებული.
ცალკე ვერ შეედრებიან
ვერც მთა და ვერც მზის ანთება:
ფოლადი, ელვა, მზე და მთა
მის სახით ერთიანდება.
ახლაც ინახავს ტაიგა
სალიკლდის ვეფხის ნატორალს,
სადაც იელვა ყოველგან
მარადი შუქი დატოვა.
კლდე კაჟით არის ნაგები
ფესვები უდგა ბარზედა,
ძალა სალიკლდის გამტეხი
ქვეყნად არ დაიბადება.
დუშმანს ჩაფერფლავს ხანძარში
მკერდი უდრეკი რკალისა,
ფხას არ შეიშლის ფოლადი
ომში ჯულაანთ გვარისა.

როსტომ საგითი

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

პატრიოტი ქალები—ფრონტელებს

(საუბარი წითელი არმიის სამ. ლქო. სახლის ქალთა შორის მუშაობის ინსტრუქტორ ამხ. ხ. გენზელოვასთან)

მოქმედ არმიაში მებრძოლთა და მეთაურთათვის თბილი ნივთების გაგზავნა თბილისის გარნიზონის უფშემადგენლობის ცოლებისათვის მშობლიურ და მახლობელ საქმედ იქცა. სამხედრო მსახურთა ცოლებმა— მებრძოლმა პატრიოტმა ქალებმა ფრონტზე გასაგზავნად დიდი რაოდენობით შეაგროვეს თბილი ნივთები. ამ ნივთების უდიდესი ნაწილი მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ცოლების მზრუნველი ხელით არის შეკერილი და მოქსოვილი.

800 მანეთად ღირებული ექვსი ამანათი გაგზავნეს მოქმედი არმიის სხვადასხვა ნაწილებში იმ ნაწილის მეთაურთა ცოლებმა, სადაც ქალთა საბჭოს თავმჯდომარეა ამხ. შჩეპინა. თბილი სვიტერების, ხელთათმანებისა და ქუდების გარდა, ამანათებში მათ ჩადეს ხელის საპონი, ოდეკოლონი, პაპიროსი, თამბაქო. თვითეულ ამანათში ჩადებულია წერილი. ქალები სთხოვენ მებრძოლებსა და მეთაურებს მოიწერონ, თუ რა ესაჭიროებათ, რომ შემდეგშიც შეეძლოთ მათთვის დახმარების გაწევა.

ფრონტისათვის დახმარება ყოველი პატრიოტი ქალის ღირსების საქმეა. ამხ. შჩეპინამ, დუდაკოვამ, რაზუვაევამ და სხვებმა გადასწყვიტეს ჰკერონ დაბამბული და ბეწვის ქურთუკები. მთელ თავიანთ თავისუფალ დროს ისინი კერვასა და თბილი ნივთების შეგროვებას ანდომებენ. მეთაურის ცოლი ამხ. ჩოპორევა რამდენიმე საღამოს განმავლობაში ჰქსოვდა მატყლის წინდებსა და ხელთათმანებს. მან ჩააბარა აგრეთვე ერთი წყვილი თბილი საცვალი, ამხ. მარლანიამ — ორი წყვილი წინდა, ამხ. ანტონოვამ— სამაზარე მაუდის ნაჭერი, ამხ. ბახტინამ —სამხედრო ტანსაცმლის კომპლექტი და ბეწვის ქუდი.

უფშემადგენლობის ცოლებმა, რომლებიც გაერთიანებული არიან ქალთა იმ საბჭოში, სადაც თავმჯდომარეა ამხ. კოლგანოვა, ერთერთ მოქმედ სამხედრო ნაწილში გაგზავნეს ამანათი. რამდენიმე ხნის შემდეგ ფრონტიდან მოვიდა წერილი. პატრიოტმა ქალებმა უდიდესი ყურადღებით წაიკითხეს მებრძოლთა და მეთაურთა პასუხი:

„ჩვენმა პოლკმა ღირსეულად შეასრულა მიცემული დავალება. ჩვენ მოვსპეთ სამი ათასზე მეტი ფაშისტი, წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე, ხელთ ვიგდეთ იარაღი, საჭურველი და მტერი შორს უკუვაგდეთ მის მიერ დაკავებული პოზიციებიდან. დიდი სტალინის სახელით მივდიოდით ბრძოლაში და ვამარცხებდით მტერს. ამანათის მიღების შემდეგ მოვსპეთ რამდენიმე ასეული გერმანელი და ხელთ ვიგდეთ მდიდარი ალაფი".

საპასუხო წერილმა ქალთა შორის ახალი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია. ისინი განაგრძობენ თბილი ნივთების შეგროვებას. ამხ. ვორობიოვამ, ოსიპოვამ და მანუშევიჩმა შეჰკერეს დაბამბული ხალათები. ახლა ისინი ფრონტზე გასაგზავნად მეორე ამანათს ამზადებენ. გაიმართა მიწერ-მოწერა პატრიოტ ქალებსა და ფრონტელებს შორის.

მებრძოლ პატრიოტ ქალთა კოლექტივებმა, სადაც ქალთა საბჭოების თავმჯდომარეები ამხ. მარტინოვა, ჯახიევა, ლუკიანოვა და სკოროხოდოვა არიან, პირველებმა მოაწყეს თავისთან თბილი ნივთების კერვა-ქსოვა და მათი ჩაბარება მიმღებ პუნქტებში.

თბილისის გარნიზონის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ცოლები უდიდესი ენტუზიაზმით აგროვებენ და ჰკერავენ თბილ ნივთებს მოქმედი არმიის ნაწილებისათვის.

ნორჩი პატრიოტები

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა კლუბმა და ბავშვთა ტექნიკურმა სადგურმა 26 ოქტომბერს ჩაატარა საღამო-კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი 310 მანეთი თავდაცვის ფონდს გადაეცა. ამის დამატებით პიონერმა ცირა ვალერიანის-ასულმა ბაქრაძემ თავდაცვის ფონდს გადასცა ასი მანეთი. ამგვარად პიონერებმა თავდაცვის ფონდს გადასცეს სულ 410 მანეთი ნაღდი ფული და 950 მანეთის ობლიგაციები.

საღამო-კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სკოლის პიონერ-მოსწავლეები, ისე სახელმწიფო ოპერის არტისტები (შარაშიძე, ბუთხუზი, ხიდაკაძე, ცაგურია) და საქ. რადიოკომიტეტთან არსებული ანსამბლი ხვიტიას ხელმძღვანელობით.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს: მეჩონგურეთა ანსამბლმა პიონერ ნ. მილორავას ხელმძღვანელობით. პიონერებმა მაღალაშვილმა და გველესიანმა, გუნაშვილმა და მინდორაძემ შეასრულეს ცეკვები, მჭედლიშვილმა, ჩუბკელმა, ზაქარიანმა, გაბოიანმა და მატევოსიანმა წაიკითხეს ლექსები, გიორგაძემ, მაკაროვმა და მაღალაშვილმა შეასრულეს ცეკვა.

ხალხის შიმშილობის ხარჯზე დაგროვილია ლოზუნგით „კარაქის ნაცვლად ზარბაზნები", არამედ იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყენებს მთელ იმ იარაღს, რომელიც მან ხელთ იგდო ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, ნორვეგიაში, იუგოსლავიაში და საბერძნეთში, და მთელ იმ იარაღს, რომელიც გერმანელების მიერ ოკუპირებული ქვეყნების ქარხნებში მზადდება. ეშინიათ რა მომავალში სამაგიეროს მიზღვისა, გარდუვალი დაღუპვისა და იმისა, რომ პასუხს აგებინებენ ჰიტლერელთა ბანდის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, ამ ჯალათების მიერ დაღვრილი სისხლისათვის, მოძალადეობისათვის, ქალაქების განადგურებისათვის, ევროპის ხალხებისა და ჩვენი ქვეყნის ხალხების ტანჯვისათვის, ჰიტლერელთა არმიები ცდილობენ რაღაც უნდა დაუჯდეთ, თუნდაც გერმანელი ხალხის მილიონების დაღუპვის ფასად, ზამთრის დადგომამდე მიაღწიონ წარმატებებს, რომლებიც შეიძლება იყოს მხოლოდ დროებითი, ვინაიდან არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა ხალხის დაძლევა და დამორჩილება, და არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს დაღუპვა ააცილოს ჰიტლერის გერმანიას. მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა დიდი სამამულო ომის საწარმოებლად ჯალათების, დამპყრობლების წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს ყველა სხვა ხალხების ყველაზე მოსისხლე მტრის წინააღმდეგ.

წითელი არმია გმირულად ებრძვის მტერს, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით. ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწას საბჭოთა ხალხები იცავენ უმაგალითო მამაცობით, მასობრივი გმირობით, რომელსაც მთელი მსოფლიო აღტაცებაში მოჰყავს. ოთხ თვეზე მეტი ხნის მანძილზე წარმოებული ომის განმავლობაში ჰიტლერის გერმანიამ მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სახით დაკარგა სამმილიონნახევარზე მეტი კაცი. ჰიტლერის არმიის ერთ მესამედზე მეტი მოსპობილია გაფთრებულ ბრძოლებში. მიუხედავად დროებითი უპირატესობისა ტანკებისა და იარაღის ზოგიერთი სხვა სახის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერის არმია უკვე რამდენიმე წელიწადია ეწევა ომს და დამთვრალია გამარჯვებებით, იგი აწყდება წითელი არმიის და მთელი საბჭოთა ხალხის შეუპოვარ წინააღმდეგობას. წითელ არმიას უდიდესი რეზერვები ჰყავს. ეს რეზერვები განუწყვეტლივ მიდიან ფრონტზე, ავსებენ ბრძოლების მონაწილე ჯარის ნაწილებს და ემზადებიან მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი კონტრშეტევისათვის.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ბრძნული პოლიტიკის მეოხებით სამი ხუთწლედის მანძილზე ღრმა ზურგში აშენებულია მრავალი ასეული ქარხნები, რომლებიც გვაძლევენ და კიდევ უფრო მეტი რაოდენობით მოგვცემენ შაშხანებს, ტყვიამფრქვევებს, ქვემეხებს, ვაზნებს, ყუმბარებს, თვითმფრინავებს და სხვა სახის იარაღსა და საომარ მასალას, აგრეთვე ყველაფერს, რაც საჭიროა ფრონტისათვის, მტერზე გამარჯვებისათვის. მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გამოტანილია ქარხნების თითქმის მთელი მოწყობილობა. და ყველა ეს ქარხანა უმოკლეს ხანში აღდგენილ იქნა, ხოლო ზოგის აღდგენა სწარმოებს ახალ ადგილებზე და ისინი ფრონტს აძლევენ იმას, რასაც აძლევდნენ ევაკუაციამდე, ბევრი მათგანი კიდევ უფრო მეტი რაოდენობითაც, ვიდრე წინათ.

მტრის ზურგში გაბედულად და მამაცურად მოქმედებენ პარტიზანი მებრძოლები. ცხენოსანი და ქვეითი პარტიზანული რაზმები და დივერსიული ჯგუფები აერთიანებენ მტრების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების თავისუფლებისმოყვარე მოსახლეობას. ჰიტლერელი ბანდიტების ზურგში გიზგიზებს საყოველთაო-სახალხო პარტიზანული ომი, იქ აფეთქებენ ხიდებს, გზებს, სპობენ სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირს, სწვავენ საწყობებს, სპობენ და ხელთ იგდებენ მტრის შტაბებს. პარტიზანებმა ისწავლეს ტანკების, ჯავშნიანი მანქანების მოსპობა, მტრისათვის სერიოზული ლახვარის ჩაცემა და აუტანელი პირობების უქმნიან ფაშისტებს ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე.

მაგრამ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. იგი ჯერ კიდევ შესძლებს საბჭოთა ხალხისათვის საკმაოდ ბევრი მძიმე ჭრილობის მიყენებას.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის XXIV წლისთავს ჩვენ ვეგებებით მოსკოვზე, ლენინგრადზე, როსტოვის მისადგომებზე მტრის განსაკუთრებით გაფთრებული იერიშების ვითარებაში. მტერი ცდილობს გამოიჭრას ჩვენი დიადი ქვეყნის დედაქალაქისაკენ, მტერი ცდილობს ხელთ იგდოს კავკასიის ნავთისაკენ მიმავალი გზა, მტერი დონბასს ემუქრება. მთელი მსოფლიო შეშფოთებულია იმით, თუ რა ბედი ეწევათ იმ რაიონებს, რომლებსაც საფრთხე მოელით, და, მოსკოვისა და ლენინგრადის გმირული დაცვით აღტაცებული, თვალს ადევნებს ამ გიგანტურ ბრძოლას, რომელშიც საბჭოთა ადამიანების მამაცობა იბრძვის ბანდიტების გაცოფებული შემოტევის წინააღმდეგ, ბანდიტებისა, რომლებსაც უკან დაბრუნების ეშინიათ, ვინაიდან მათ ომითა და ფაშისტების ტერორით განაწამებ გერმანიაში და ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ ყველა სხვა ქვეყნებში მოელით ხალხთა სიძულვილი და ულმობელი შურისძიება.

მთელი ჩვენი ქვეყანა ეხმარება მოსკოვსა და ლენინგრადს მტრის უკუგდებაში. მესამე თვეა, რაც ლენინის დიდი ქალაქი თავს იცავს გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა ურდოებისაგან, რომლებმაც ლენინგრადის მისადგომებზე ასი ათასზე მეტი მოკლული და დაჭრილი ფაშისტი მხეცი დასტოვეს. მოსკოვთან, მოსკოვის მისადგომებზე წითელი არმია მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებთან ერთად იგერიებს ყოველი მხრიდან მოკრებილი მრავალრიცხოვანი დივიზიების შემოტევას, რომლებიც ფრონტის ამ უბანზე გამოგზავნილი არიან იმისათვის, რომ რადაც უნდა დაუჯდეთ მიაღწიონ გამარჯვებას. მოსკოვისა და ლენინგრადისაკენ მიმავალი გზები მოფენილია ფაშისტთა გვამებით. ფაშისტთა ყველა ცდა იმსხვრევა საბჭოთა ადამიანების მამაცობასა და მტკიცე ნებისყოფაზე — დაიცვან ლენინის დიდი ქალაქი, სადაც 24 წლის წინათ იქუხა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც მსოფლიოს აუწყა კაცობრიობის ახალი ერა, სოციალიზმის ერა. ლენინგრადელები ლენინის ქალაქს, სადაც თითქმის 50 წლის წინათ ჩამოყალიბდა ბოლშევიკური პარტიის პირველი უჯრედი, იცავენ ისეთი გმირობით, რომელიც შევა კაცობრიობის ისტორიაში. ისინი იცავენ რუსი ხალხის უდიდესი კულტურის ქალაქს. ამ ქალაქში რუსმა მეცნიერმა მიხეილ ლომონოსოვმა მოახდინა უდიდესი მეცნიერული აღმოჩენა, რომელიც საუკუნეზე მეტით უსწრებდა წინ თანამედროვე მეცნიერულ აზრს. ამ ქალაქში ჰქმნიდა თავის გენიალურ ნაწარმოებებს დიდი რუსი პოეტი პუშკინი. ამ ქალაქში ლენინმა და სტალინმა დააარსეს გაზეთი „პრავდა", რომლის მართალი სიტყვა დღესაც საგანგაშო ზარივით ჟღერს მთელ მსოფლიოში. ამ ქალაქს მთელი ჩვენი ქვეყანა იცავს და დაიცავს ყველა საშუალებით, ჩვენი სახელმწიფოს მთელი ძალებით. საბჭოთა ხალხი ასეთივე ძალით იცავდა და დაიცავს მსოფლიოს ყველა ხალხებისათვის მშობლიურ ქალაქ მოსკოვს — ჩვენი დიდი ქვეყნის ცენტრს, ქალაქს, რომელშიც მუშაობდა ლენინი და დღეს მუშაობს სტალინი — წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ბელადი. საბჭოთა ხალხი იცავდა და დაიცავს მოსკოვს, რომელსაც აქვს სამი რევოლუციის სახელოვანი ტრადიციები, ქალაქს, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი თავისი რამდენიმე ათეული უმაღლესი სასწავლებლით, ლაბორატორიებით, ინსტიტუტებით, მუზეუმებით, თეატრებით, რომლებსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ. ამ ქალაქისათვის არა მარტო მოსკოველები, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანაც, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მილიონებიც იბრძოლებენ ბოლომდე, ჰიტლერიზმის განადგურებამდე. წითელი არმიის და სსრ კავშირის ყველა მშრომელთა ამ შეუპოვარმა ბრძოლამ და ჰიტლერელთა ურდოებისადმი გმირულმა წინააღმდეგობამ განთავისუფლების იმედი გაუღვივა ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული ყველა ქვეყნის ხალხებს, იგი უნერგავს მათ გამარჯვების რწმენას, რაზმავს სხვა ქვეყნების ხალხებს ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის, ხელფეხს უხსნის ჰიტლერიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ძალებს.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავზე საბჭოების ქვეყანა ბრძოლებში გარემოცული იქნება ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მხარდაჭერითა და თანაგრძნობით, ვინაიდან ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის წარმოებული ჩვენი ომი უკვე ახლა შეუერთდა ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებისათვის. ჩვენ ვეწევით უაღრესად სამართლიან განმათავისუფლებელ ომს. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ წარმოებული ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო იმ საფრთხის ლიკვიდაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანას დასტრიალებს, არამედ ევროპის ყველა იმ ხალხთათვის დახმარების გაწევაც, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავენ. ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩვენ მარტონი არ ვიქნებით. ამ დიდ ომში ჩვენ გვეყოლებიან ერთგული მოკავშირენი ევროპისა და ამერიკის ხალხთა სახით, მათ შორის გერმანელი ხალხის სახით, რომელიც დამონებულია ჰიტლერელი არამზადების მიერ. ასე განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა სსრ კავშირში საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანი. შეიქმნა მძლავრი კოალიცია დემოკრატიული სახელმწიფოებისა—სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებიც შეთანხმდნენ აღმოუჩინონ ურთიერთს დახმარება ჰიტლერის გერმანიის გასანადგურებლად წარმოებულ ბრძოლაში. შეიქმნა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მძლავრი ანტიფაშისტური კოალიცია. ანტიფაშისტთა ეს ძალები იზრდებიან და განაგრძობენ ზრდას, სანამ არ დადგება დღე, როდესაც ყველა ეს ძალები თავს დაატყდებიან ჰიტლერის გერმანიას, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო უდიდეს საფრთხეს, რომელიც ოდესმე არსებობდა პროგრესიული კაცობრიობისათვის.

დგება საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის 25-ე წელი, რომელიც მთლიანად უნდა გადაიქცეს ჩვენი ხალხების ყველა ძალებისა და სახსრების მობილიზაციის წლად, რომ მტერი გავანადგუროთ. ხალხის მთელი ძალები, ფრონტისა და ზურგის ყველა სახსრები, ყველაფერი მიმართული უნდა იყოს ამ მიზნისაკენ. საბჭოთა ხალხი გაითვალისწინებს ომის პირველი თვეების გამოცდილებას. იგი შესძლებს გამოასწოროს ცალკე მომენტებში დაშვებული შეცდომები. საბჭოთა ხალხმა ყოველთვის იცოდა ამ შეცდომების მამაცურად გამოვლინება და მათი გამოსწორება ბრძოლის მიმდინარეობაში.

უდიდესი სახსრები და ადამიანთა რეზერვები, ჩვენი ქარხნების სიმძლავრე, მიწის წიაღის სიმდიდრენი, მძლავრი სოფლის მეურნეობა და ლენინ-სტალინის პარტიისა და ლენინურ-სტალინური კომკავშირის დიადი ძალა—ყველაფერი მთლიანად უნდა იქნას და იქნება კიდეც მობილიზებული უმთავრესი ამოცანის მისაღწევად — ჰიტლერის გერმანიის გასანადგურებლად. ამ განადგურებისათვის ჩვენ გვაქვს ძალები და საშუალებები. არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყოველდღიურად გაიზრდება ანტიფაშისტურ სახელმწიფოთა ძალები და სახსრები მთელ მსოფლიოში. საბჭოთა სახელმწიფოს ბედისათვის, ყველა საბჭოთა ხალხების შემდგომი ბედისათვის უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებით, იმ ბრძოლის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის შეგნებით, რომელსაც ჩვენ ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ვეწევით, მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის მეთაურობით იბრძვის იმისათვის, რომ მომავალ 25-ე წლისთავს შეხვდეს ფაშისტური ბანდებისაგან გაწმენდილ მიწაზე და ახალი ძალებით, სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრული ურთიერთობით აშენოს სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერი ცხოვრება.

გაუმარჯოს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ხალხთა ანტიფაშისტურ კავშირს!

გაუმარჯოს გმირულ წითელ არმიას, რომელიც იცავს საბჭოთა ქვეყანას!

სიკვდილი ჰიტლერსა და ჯალათებს! შეუბრალებლად ვიძიოთ შური ჰიტლერელ ბანდიტებზე!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ჯარის სარდლობის ღონისძიებანი

სტამბოლი, 4 ნოემბერი (საკდესი). იერუსალიმიდან იუწყებიან, რომ ინგლისის სამხედრო სარდლობა ღონისძიებებს ახორციელებს ახლო აღმოსავლეთის დაცვის განსამტკიცებლად და ლიბიაში ოპერაციების მოსამზადებლად. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში შექმნილია სტრატეგიული გზების და აეროდრომების მნიშვნელოვანი ქსელი, მოწყობილია სამხედრო მასალათა საწყობები, გაძლიერებულია მოძრავი შემადგენლობა. პალესტინაში მოტორიზებულ ტრანსპორტს თითქმის მთლიანად სამხედრო საჭიროებისათვის იყენებენ. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მრეწველობა და სახელოსნოები ეგვიპტიდან სირიამდე სამხედრო საჭიროებისათვის მუშაობენ. მაგალითად, პალესტინაში მოგვარებულია ფეხსაცმლისა და სამხედრო ეკიპირების სხვა საგნების საკმაოდ ფართო წარმოება. ინგლისის სარდლობამ მიიღო ზომები იმისათვის, რომ დაჩქარდეს ამერიკული თვითმფრინავების მიტანა შორეულ აღმოსავლეთში. დღემდე თვითმფრინავები ამერიკიდან დანიშნულების ადგილამდე საზღვაო გზით მოჰქონდათ. ახლა კი აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან თვითმფრინავებს საჰაერო გზით მოიყვანენ, ამასთან ამ თვითმფრინავებს ამერიკელი მფრინავები მოიყვანენ.

მკვლელების დახვრეტა იუგოსლავიაში

სტამბოლი, 4 ნოემბერი (საკდესი). ბელგრადიდან მიღებული ცნობების თანახმად, იუგოსლავიაში კვლავ მიმართავენ სიკვდილით მასობრივ დასჯას. გერმანიის ხელისუფალნი გაბოროტებული არიან იმის გამო, რომ იქ იზრდება სერბთა პატრიოტული მოძრაობა, რის წინააღმდეგაც მათ ვერაფერი გაუწყვიათ. პარტიზანული მოძრაობის გამო, გერმანელები იუგოსლავიის ბევრ რაიონში ფეხს ველარ სდგამენ. იქ ყოველდღე კლავენ გერმანელ სამხედრო პირებს.

ამასწინათ ბელგრადში მოჰკლეს გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი. გერმანელებმა მძევლებად დააპატიმრეს 1.500 სერბიელი. ყველა დაპატიმრებული მოთავსებულია ბელგრადში მე-18 პოლკის ყაზარმებში. ვინაიდან საოკუპაციო ხელისუფლებამ დღემდეც ვერ შესძლო მკვლელების აღმოჩენა, გერმანელებმა უკვე ასობით მძევალი დახვრიტეს. 27 ოქტომბერს კიდევ ერთი გერმანელი ჯარისკაცი დასჭრეს. დამნაშავენი მაინც ვერ აღმოაჩინეს. კიდევ დახვრიტეს 50 კაცი.

ქალაქ ტრავნიკში (ბოსნია) საბოტაჟისათვის სიკვდილით დასაჯეს 13 კაცი. ამას გარდა, სარაევოში სიკვდილით დასაჯეს 2 სერბიელი პატრიოტი, რომლებსაც აგრეთვე საბოტაჟი ჰბრალდებოდათ; მათ შორის ერთი სტუდენტი ქალია.

ღერძის სახელმწიფოების ზარალი ზღვაში

ლონდონი, 4 ნოემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ოქტომბერში ჩრდილოეთის წყლებსა და ხმელთაშუა ზღვაში ინგლისის სახმელეთო და საზღვაო ავიაციამ ჩაძირა ან დააზიანა ღერძის სახელმწიფოთა 103 გემი, სექტემბერში კი—101 გემი. ოქტომბერში გაძლიერდა „ჰარიკეინის“ თვითმფრინავების თავდასხმა მტრის გემებზე. ეს თვითმფრინავები ოთხი ზარბაზნითა და 12 ტყვიამფრქვევით არიან შეიარაღებულნი. ამ ტიპის თვითმფრინავებმა ბევრი გემი ჩაძირეს. უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ ჩაძირა და დააზიანა ღერძის სახელმწიფოების 400-მდე გემი.

თურქული გაზეთი ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ

ანკარა, 4 ნოემბერი (საკდესი). თურქული გაზეთები კვლავ უთმობენ ყურადღებას ფაშისტთა მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის მძიმე მდგომარეობას.

გაზეთი „ტიურკ სეზიუ“ სწერს, რომ ჩეხოსლოვაკიის ამბები, პარტიზანული რაზმების მოქმედება სერბიაში და ანტიფაშისტური გამოსვლები საფრანგეთში იმას მოწმობენ, რომ ამ ქვეყნებში იზრდება უკმაყოფილება არსებული საოკუპაციო რეჟიმის გამო.

„ხალხებს მოთმინება ეკარგებათ, — სწერს გაზეთი.—ევროპაში ამჟამად გამეფებულია უმუშევრობა და შიმშილი. ევროპას ოკუპაციის მძიმე რეჟიმი სტანჯავს. შესაძლებელი იქნება თუ არა ჩაგვრაში იყოლიონ მსოფლიოს უაღრესად კულტურული და ენერგიული ადამიანები, რომლებმაც შარშანდელი ზამთარი ისე გაატარეს, რომ არც სათბობი ჰქონიათ და არც საკმაო საჭმელი? ჩვენ საშინელ ზამთრის პირას ვართ, რომელიც მილიონობით ადამიანებს კიდევ უფრო შავ დღეებს მოუტანს, ვიდრე გასულ წელს. ამ პირობებში ადვილი საქმე არ იქნება აიძულონ ევროპის ხალხები შეურიგდნენ ასეთ გაჭირვებას“.

ჟურნალი „ფრანსი“ საფრანგეთის მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი (საკდესი). დე გოლის ჟურნალ „ფრანსში“, რომელიც ინგლისში გამოდის ფრანგულ ენაზე, მოთავსებულია ინტერვიუ საფრანგეთიდან ამასწინათ ჩამოსულ ერთ-ერთ ფრანგთან. მან განაცხადა, რომ საფრანგეთში ჩაიშალა „მოხალისეთა“ შეგროვება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. საფრანგეთის მოსახლეობის ფართო მასებში ძალიან გავრცელებულია ანტიგერმანული და ანტიიტალიური განწყობილება. ძლიერია სიძულვილი ამ ორივე ქვეყნისადმი. პეტენის „ლეგიონის“ წევრთა კრებები, შინაგანი უთანხმოების გამო, ხშირად ჩხუბით თავდება.

ბელგიის მოსახლეობა საშინელ ჯანჯაფში

სტამბოლი, 4 ნოემბერი (საკდესი). შვეიცარიის გაზეთმა „ჟურნალ დე ჟენევამ“ გამოაქვეყნა თავისი ბელგიელი კორესპონდენტის წერილი, რომელიც გერმანიის ცენზურას ასცდა. წერილი გვიხატავს ბელგიის ხალხის საშინელ მდგომარეობას ფაშისტ დამპყრობელთა ხელში. უკანასკნელი 15 დღის განმავლობაში ბელგიის მოსახლეობას ნამცეცი პურიც კი არ უნახავს. აქამდე მიკროსკოპული დოზით იძლეოდნენ დაობებულ პურს.

უკანასკნელი თვის განმავლობაში მოსახლეობას ბარათებითაც კი ერთხელაც არ მიუღია ხორცი. კარტოფილი ჯერ კიდევ ამ 2 თვის წინათ სავსებით გაქრა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბელგიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ფიზიკური შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს ბარათებით უმნიშვნელო ულუფა, ვინაიდან არ ძალუძს რიგებში იდგეს მრავალი საათის განმავლობაში. საოკუპაციო ხელისუფალთა განკარგულებით ლობიოს თვიურ ულუფას, რაც სულ 50 გრამს შეადგენს, ნაწილ-ნაწილად იძლევიან ათ-ათ გრამს. კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ასეთი ულუფის მიღება მოითხოვს საშუალოდ 4 საათს დგომას რიგში, რაც საჰაერო ქსელის მკვეთრი შემცირებით აიხსნება. „შავ ბაზარში“ შეიძლება თალგამის და ზოგჯერ დიდი ქალაქებისაგან დაშორებულ რაიონებში ცოტა ხორცის შოვნა ზღაპრულ ფასად. კორესპონდენტს მოჰყავს ასეთი ფაქტი. ერთ-ერთმა ბრიუსელელმა ადვოკატმა ველოსიპედით 150 კილომეტრი გაიარა, სანამ ერთ გირვანქა ხორცს იშოვიდა, რომელშიაც 500 ბელგიური ფრანკი გადაიხადა. დამპყრობლებისადმი სიძულვილი საყოველთაო ხასიათს იღებს.

ბრძოლა იუგოსლაველ პარტიზანებსა და ოკუპანტებს შორის

სტამბოლი, 4 ნოემბერი (საკდესი). სტამბოლის ბალკანეთის წრეებში იუწყებიან, რომ უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში ხორვატიაში დახვრიტეს 700-ზე მეტი ხორვატელი პატრიოტი, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ უსტაშებისა და იტალიელი ოკუპანტების წინააღმდეგ. გერმანიის ჯართან და ნედიჩის ჯარის ნაწილებთან მრავალი ბრძოლის შედეგად, აგრეთვე სამხედრო საწყობებზე თავდასხმების გამო იუგოსლავიის პარტიზანული არმია ამჟამად მძიმე არტილერიითაც კი არის შეიარაღებული. აქ მიღებულია ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობა იმ ბრძოლების შესახებ, რომლებიც ოქტომბრის დამდეგს სწარმოებდა სარაევოს მახლობლად მდებარე ტყეებში. ამ ბრძოლებში, რომლებიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, პარტიზანების წინააღმდეგ მოქმედებდა 35 ათასი უსტაში და რეგულარული არმიის ჯარისკაცი. გერმანიის რამდენიმე მოპიკირე თვითმფრინავი ბომბებს უშენდა იმ ტყეებს, სადაც თავმოყრილი იყვნენ პარტიზანული ჯარები. მაგრამ პარტიზანებმა მძიმე არტილერია აამოქმედეს და უსტაშებმა მათი დამარცხება ვერ შესძლეს. ტყვედ ჩაიგდეს მხოლოდ 100-მდე პარტიზანი. პარტიზანები დაუყოვნებლივ დახვრიტეს.

მოსახლეობა დიდ დახმარებას უწევს პარტიზანებს თბილი ტანისამოსითა და სურსათით.

იუგოსლაველ პარტიზანებს დეზორგანიზაცია შეაქვთ სარკინიგზო მოძრაობაში

ანკარა, 4 ნოემბერი (საკდესი). უნგრეთიდან ანკარაში ამასწინათ ჩამოსული ერთერთი ნეიტრალური დიპლომატი გადმოგვცემს, რომ იუგოსლავიაში პარტიზანულმა მოძრაობამ უდიდესი გაქანება მიიღო. საოკუპაციო ხელისუფალთა წარმომადგენელნი სამხედრო მცველთა გარეშე ქალაქს გარეთ გამოსვლას ვერ ბედავენ. მაგრამ პარტიზანები ქალაქებშიც უშიშრად ესხმიან გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. დიდ ქალაქებშიც, სადაც გერმანიის დიდი გარნიზონები დგანან, პარტიზანებთან დიდი ბრძოლა იმართება ხოლმე. პარტიზანული რაზმების მოქმედების შედეგად, იუგოსლავიაში დეზორგანიზებულია სარკინიგზო მოძრაობა. ბელგრადში მატარებლები ზოგჯერ 24 საათს დგას, რომლის განმავლობაშიც ხდება პარტიზანების მიერ გაფუჭებული გზის აღდგენა. ბელგრადიდან მატარებლები ძალიან ნელა დადის და ყოველ 10-15 კილომეტრზე ჩერდება, ვინაიდან გზაზე ლიანდაგი აყრილია ხოლმე. დასასრულ, დიპლომატმა სთქვა: „შთაბეჭდილება ისეთია, რომ რკინიგზის ტრანსპორტი იუგოსლავიაში თითქმის მთლიანად პარალიზებულია“.

ლათინური ამერიკის ქვეყნების პროტესტი მძევალთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ოკუპირებულ ქვეყნებში

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო სანტ-იაგოდან გადმოგვცემს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ არგენტინის, მექსიკის, კოსტარიკისა და ეკვადორის მთავრობები მხარს უჭერენ ოკუპირებულ ქვეყნებში მძევალთა სიკვდილით მასობრივ დასჯასთან დაკავშირებით ჩილის მთავრობის მიერ გერმანიის მთავრობისათვის გაკეთებულ წარდგინებას.

ამერიკის პრესის ცნობით, მონტევიდეოს (ურუგვაი), სანტ-იაგოს (ჩილი) და გავანის (კუბა) მუშებმა 1 ნოემბერს მუშაობა შესწყვიტეს მძევალთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ნიუ-იორკში გამომავალი ბერძნული გაზეთის რედაქტორის გამოსვლა რადიოთი

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი (საკდესი). ნიუ-იორკში გამომავალი ბერძნული გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდის“ რედაქტორმა ბერძენი ხალხისადმი მიმართული სიტყვა წარმოსთქვა, სადაც განაცხადა: „რუსების ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ კვლავინდებური გააფთრებით გრძელდება. დიდია გერმანელთა ზარალი მოკლულთა და დაჭრილთა სახით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ რუსეთის არმია მტკიცედ ინარჩუნებს თავის მაღალ მორალურ დონეს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას სამშობლო და მოსპოს მტერი. ნაცისტებისადმი წინააღმდეგობა იზრდება მთელს ევროპაში. გერმანელები იძულებული არიან შკოდის ქარხანაში ყოველ ორ მუშას ერთი ზედამხედველი დაუყენონ“.

დასასრულს ორატორმა მოუწოდა ბერძნებს კვლავ წინააღმდეგობა გაუწიონ ნაცისტებს.

სინგაპურის მცხოვრებმა ფრანგებმა აღნიშნეს გერმანელების მიერ დახვრეტილ ფრანგ მძევალთა ხსოვნა

ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სინგაპურიდან იტყობინება, იქ მცხოვრებმა ფრანგებმა დე გოლის მოწოდების პასუხად აღნიშნეს გერმანელების მიერ დახვრეტილ ფრანგ მძევალთა ხსოვნა—გვირგვინით შეამკეს მსოფლიო ომის იმ მსხვერპლთა საფლავი, რომელნიც დაკრძალული არიან სინგაპურში.

გასროლა კასიდიოს გამგზავრებისას

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იტყობინება, 28 ოქტომბერს არგენტინის პოლიციამ დააპატიმრა ერთი კაცი, რომელსაც ბრალად ედება, რომ მან რევოლვერი გაისროლა რკინიგზის სადგურზე იმ მომენტში, როდესაც არგენტინის პრეზიდენტის მოვალეობის აღმსრულებელი კასიდიო ბუენოს-აირესიდან ელოვარში გამგზავრებას აპირებდა სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზე დასასწრებლად.

მექსიკის ვაჭრობის სამინისტრომ აკრძალა ალუმინის ჯართის ექსპორტი

ნიუ-იორკი. მექსიკის ვაჭრობის სამინისტრომ ა. წ. 7 ოქტომბრიდან სავსებით აკრძალა ალუმინის ჯართის ექსპორტი.

ფაშისტური ტერორის გაძლიერება საფრანგეთში

ნიუ-იორკი. იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთში ძლიერდება ფაშისტური ტერორი. გერმანელთა ჯარები და საფრანგეთის პოლიცია ნანტში ყოველ სახლს ჩხრეკენ, ცდილობენ აღმოაჩინონ გერმანელ გენერალ ჰოლცის მკვლელი. ნანტის მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ ქალაქიდან გასვლა. ამ ძებნის უნაყოფობა კიდევ უფრო აცოფებს ნაცისტებს. მთელ საფრანგეთში კვლავ მასობრივად აპატიმრებენ ხალხს. იმავე სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ვიშში დააპატიმრეს 5 კაცი, რომელთაც ბრალი დასდეს, რომ ისინი ანტიფაშისტურ პროპაგანდას ეწეოდნენ, რისთვისაც იყენებდნენ პარიზის ფოსტას. სპეციალურმა ტრიბუნალმა პარიზში 14 კომუნისტს მიუსაჯა საკატორღო მუშაობა 6-დან 20 წლამდე ვადით. ხუთ სხვა ბრალდებულს მიუსაჯეს პატიმრობა და ჯარიმა. აგრეთვე იუწყებიან, რომ დააპატიმრეს ჰენრიეტა ესლერი, რომელსაც ბრალი დასდეს იმაში, რომ იგი მალავდა ყოფილ კომუნისტ დეპუტატს ლიტიეს.

პარტიზანული ომი სერბიაში

ნიუ-იორკი, 4 ნოემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბერნელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ სერბიაში გაჩაღებულ პარტიზანულ ომში ებმებიან სულ ახალ-ახალი რაიონები. გაზეთი „ნოვო ვრემია“, რომელიც ბელგრადში გამოდის, იუწყება, რომ დიდი შეტაკება მოხდა სერბიელ პარტიზანებსა და საოკუპაციო ჯარებს შორის სერბიის პატარა სოფელ ბელანოვიჩის მახლობლად და საბუბიჩში. სერბიაში ოკუპანტები, პარტიზანული მოძრაობის ჩახშობის მიზნით, სიკვდილით მასობრივ დასჯას მიმართავენ. მაგალითად, პროკუპში ჩამოაღრჩეს 42 სერბიელი პატრიოტი. მეორე დაბაში ოკუპანტებმა ჩამოაღრჩეს 52 პატრიოტი, ხოლო 18 პატრიოტი საპყრობილეში ჩაჰყარეს. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ საოკუპაციო ხელისუფლება მთელს სერბიაში ჰპოულობს ბევრ გადამალულ სამხედრო მასალას.

ანტიგერმანული ჯგუფები ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატში

სტოკჰოლმი. გერმანული გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ იუწყება, რომ ჩეხიისა და მორავიის პროტექტორატში დაძაბული მდგომარეობაა. გაზეთი აღიარებს, რომ ჩეხიაში დღემდე არსებობდნენ გერმანელებისადმი წინააღმდეგობის გამწევი ჯგუფები, რომლებშიც შედიოდნენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, მათ შორის სამხედრო პირები, მასწავლებლები, მოხელეები. ეს ჯგუფები აგროვებდნენ იარაღს ჩეხიის თავდაცვის არმიის შესაქმნელად, აწყობდნენ საბოტაჟის მრავალ აქტს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. „ფელკიშერ ბეობახტერი“ აცხადებს, ჩეხები გერმანელების წინააღმდეგ აჯანყებისათვის ემზადებოდნენო.

ფაშისტური ტერორი საბერძნეთში

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საბერძნეთის გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის სალონიკელი სამხედრო კომენდანტის ბრძანებით იქ ჩამოახრჩეს 13 ბერძენი, რაც რეპრესიას წარმოადგენს ორი გერმანელი ჯარისკაცის მოკვლისათვის.

ელექტროსადგურის აფეთქება სან-სებასტიანში

სტოკჰოლმი, 1 ნოემბერი (საკდესი). სკანდინავიის სატელეგრაფო ბიურო იუწყება, რომ ამ დღეებში აფეთქების შედეგად მთლიანად დაინგრა დიდი ელექტროსადგური სან-სებასტიანში, რის გამო მთელი ჩრდილოეთ ესპანეთი უდენოდ დარჩა. რკინიგზის ელექტროფიცირებულ ხაზზე მოძრაობა შესწყდა. მადრიდ-სან-სებასტიანის ხაზზე მატარებლები მხოლოდ მირანდამდე მიდის.

აფეთქების დროს ბევრი დაიჭრა.

ტერორი ოკუპირებულ ქვეყნებში

ნიუ-იორკი, 1 ნოემბერი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ გადმოგვცემს იუგოსლავიასა და რუმინეთში გამეფებული თავაშვებული ტერორის ახალ ფაქტებს. შიბენიკში იტალიის სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა 18 ხორვატიელს, რომელთაც ბრალდებათ საბოტაჟი და პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობა. სულ უფრო მეტი და მეტი ხორვატიელი მეზღვაური და მეთევზე უერთდება პარტიზანებს, რომელნიც მოქმედებენ ჰერცეგოვინასა და ჩერნოგორიის კატაროს რაიონში. ბელგრადში გერმანელებმა შეიპყრეს 1.700 ახალი მძევალი და ყოველდღიურად ხვრეტენ დაახლოებით 25 კაცს გერმანელ ოფიცერთა და ჯარისკაცთა დახოცვის სამაგიეროდ. პარტიზანები სომარ მოქმედებას ეწევიან გერმანელთა ჯარების წინააღმდეგ შაბატა, ზვორნიკისა და ურიცის რაიონში, სადაც ნამდვილი ბრძოლაა გაჩაღებული.

არეულობის ტალღა რუმინეთის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში უფრო მეტსა და მეტ ინტენსივობას აღწევს. ბუქარესტში საგრძნობლად იმატა ანტიგერმანულმა განწყობილებამ.

იტალიელების სიძულვილი გერმანელებისადმი

ნიუ-იორკი. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი, რომელიც ინგლისის ჯარებთან არის ეგვიპტის უდაბნოში, გადმოსცემს თავის საუბარს სამ ინგლისელ ჯარისკაცთან. ეს ჯარისკაცები გამოქცეულან სამხედრო ტყვეთა ბარკის ბანაკიდან (ბენგაზის ახლოს). ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ამ ბანაკში 5 თვეს ყოფნისას ისინი ხედავდნენ, თუ რა ეფექტიურად ბომბავდა ინგლისის ავიაცია ბენგაზს. ბენგაზის ნავსადგური სავსეა ღერძის ქვეყნების ხომალდთა ნამსხვრევებით. გამოქცეულმა ინგლისელმა ჯარისკაცებმა აგრეთვე უამბეს, რომ გერმანელები იტალიელებისათვის განკუთვნილი პროდუქტების რეკვიზიციას ახდენენ. გერმანელები აშკარად გამოსთქვამენ თავის ზიზღს იტალიელებისადმი. იტალიელები კი აშკარად იჩენენ უკმაყოფილებას ფაშიზმით და მოითხოვენ ომის შეწყვეტას.

იტალიის საჰაერო მიმოსვლის კომპანია „ლასი“ არგენტინიდან ბენზინს ველარ მიიღებს

ნიუ-იორკი. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან (არგენტინა) იუწყება, მთავრობის განკარგულებაში მყოფმა ნავთის მრეწველობის კომპანიამ აცნობა იტალიელთა საჰაერო მიმოსვლის კომპანია „ლასის“, რომ იგი საავიაციო ბენზინს ველარ მიჰყიდის კომპანია „ლასის“, ვინაიდან ბენზინი აუცილებელია არგენტინის სამხედრო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. როგორც იუწყებიან, კომპანია „ლასის“ ბენზინის მარაგი ბუენოს-აირესში საშუალებას მისცემს ამ კომპანიას იმოქმედოს ბუენოს-აირეს—რიოდე-ჟანეიროს საჰაერო ხაზზე მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში. როდესაც ეს მარაგი გათავდება, „ლასი“ ალბათ დახურავს ხაზს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოძახილი საქართველოში

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ უდიდესი გამოძახილი ჰპოვა ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, პეტროგრადის გმირული პროლეტარიატისა და რევოლუციური ჯარისკაცების თავდადებულ ბრძოლას ენერგიულად გამოეხმაურა ბოლშევიკური პარტიის ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „ბრძოლა“. 1917 წლის პირველი ნოემბრის მოწინავეში გაზეთი „ბრძოლა“ სწერდა: „პეტროგრადის აჯანყებამ დაამხო კერენსკის კონტრ-რევოლუციური მთავრობა დაააფრიალა დროშა, რომელსაც აწერია: ზავი, პური და თავისუფლება. მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა მინისტრების დატუსაღებით, ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი, ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი მხოლოდ ახლა იწყება.

პეტროგრადის პროლეტარიატი გმირულად გამოვიდა ბრძოლის ველზე და საბრძოლველად იწვევს არა მარტო მთელი რუსეთის მშრომელთ, არამედ მთელი ქვეყნის დაჩაგრულთ და ტანჯულთ. გაბატონებულ მტარვალობისაგან ქვეყანა თავს იხსნის მხოლოდ ამ ბრძოლით, სხვა გზა არ არსებობს—წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას სრული განადგურება და გაველურება მოელის“.[1])

„ბრძოლაში“ სისტემატურად ქვეყნდებოდა რუსეთის ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობის დადგენილებები და დეკრეტები. „ბრძოლაში“ გამოქვეყნდა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო რევოლუციური კომიტეტის მოწოდება დემოკრატიული ზავის შესახებ, მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციაზე, მუშათა კონტროლზე და სხვ. ყოველივე ამან, ცხადია, უდიდესი გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის მშრომელ მოსახლეობაზე.

1917 წლის 9 ნოემბერს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ქალაქ თბილისში, არსენალის რაიონში, შესდგა მუშათა და სხვა მშრომელთა მიტინგი. მიტინგს დაესწრო 2.000-ზე მეტი კაცი. მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც თბილისელი მუშები მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უგზავნიდნენ პეტროგრადის მუშებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს. მიტინგის მონაწილე მუშები ფიცსა სდებდნენ, რომ თბილისის რევოლუციური პროლეტარიატი რუსეთში დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად რკინის კედლად აღიმართებოდა და თავდადებით იბრძოლებდა კონტრ-რევოლუციური ბურჟუაზიის შავბნელი ძალების წინააღმდეგ.

იმავე დღეებში შესდგა ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა კრება, რომელსაც დაესწრო 500-ზე მეტი მუშა. მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, იმპერიალისტური ომის შეწყვეტამ და ვ. ი. ლენინის ლოზუნგმა ფრონტზე მყოფ ჯარისკაცთა დემობილიზაციის შესახებ უდიდესი გავლენა მოახდინა ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მყოფ ბოლშევიკურად განწყობილ ჯარის ნაწილებზეც.

24 ნოემბერს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შესდგა რევოლუციურად განწყობილ თბილისის გარნიზონის ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგს რამდენიმე ათასი ჯარისკაცი დაესწრო. მიტინგი მიესალმა პეტროგრადის რევოლუციურ არმიას, რომელმაც დაამხო მემამულე-კაპიტალისტების კონტრ-რევოლუციური მთავრობა.

1917 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ერთერთი ჯარისკაცი ბათუმიდან სწერდა: „პეტროგრადის რევოლუციონურმა ჯარმა და პროლეტარიატმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შემუსრა დროებითი მთავრობა, რომელიც შვიდი თვის განმავლობაში შეუცვლელად აწარმოებდა ძველი მთავრობის პოლიტიკას: მათი კონტრრევოლუციონური მოქმედება აშკარა დასანახი დარჩა რევოლუციონური ჯარის და პროლეტარიატისათვის. დღეს კი ჩამოკრა მათთვის უკანასკნელმა საათმა, და ოცდახუთს ოქტომბერს ჯარი და პროლეტარიატი ერთად დაირაზმენ ინტერნაციონალური დროშის ქვეშ და ხმამაღლა დაიძახეს: მთელი ძალაუფლება საბჭოებს, რომლებსაც შეუძლია ბოლო მოუღონ დღევანდელ კაცობრიობის გამანადგურებელ ომს. ეხლა ჩვენი წმინდა ვალია მხარი დავუჭიროთ პეტროგრადის რევოლუციონურ ჯარს და პროლეტარიატს, რომ მოვიპოვოთ ზავი, პური და თავისუფლება.

უნდა ავლაგმოთ კონტრრევოლუციონერები, რომლებიც ცდილობენ ჩირქი მოსცხონ რუსეთის მესამე რევოლუციას“.[2])

ფრონტიდან დაბრუნებულმა ბოლშევიკურად განწყობილმა ჯარისკაცებმა დიდი როლი შეასრულეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების პოპულარიზაციის საქმეში. მათ საკუთარი თვალით ჰქონდათ ნახული ის, რომ რუსეთში მომხდარმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საფუძვლიანად შესცვალა მდგომარეობა; დაამკვიდრა პროლეტარიატის დიქტატურა და მთელი სახელმწიფო ძალაუფლება გადასცა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს. ეს იმ დროს, როდესაც მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების წყალობით მთელ ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავეები მენშევიკების წყალობით ხელში ეპყროთ მემამულე თავადაზნაურებსა და კაპიტალისტებს, რომელთა უღელქვეშ გმინავდა საქართველოს მშრომელი ხალხი.

ლენინ-სტალინის პარტიის დროშის ქვეშ დარაზმული მუშები, გლეხები და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დიდად აფასებდნენ რუსეთში დამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებას. ისინი დიდად აფასებდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს — პროლეტარიატის დიქტატურას, და ერთსულოვნად იძლეოდნენ სიტყვას, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და სასტიკ ბრძოლას გააჩაღებდნენ კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ.

სწორედ ასეთი შინაარსის რეზოლუცია გამოიტანა ჭიათურის რაიონში მომუშავე მუშებისა და ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების კრებამ, რომელიც შესდგა 1918 წლის 14 იანვარს. აღნიშნულ რეზოლუციაში ვკითხულობთ: „რუსეთის დღევანდელი მთავრობა—ეს არის მუშების, გლეხების და სალდათების მთავრობა. ჩაგრულმა ხალხმა პირველად იხილა მთელი რვა თვის განმავლობაში ნამდვილი მისი ინტერესების გამომხატველი ორგანო. ამიტომ აღტაცებით ვეგებებით მას და აღვუთქვამთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ ვიბრძოლოთ ყოველგვარი კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც მის დასანგრევად იქნება მიმართული“.[3])

გარდა რევოლუციური მუშებისა და გლეხებისა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად გამოდიოდნენ საქართველოს რეგულარული ჯარის ნაწილები, რომლებიც მუშებისა და გლეხებისაგან შესდგებოდა და რომლებიც ბოლშევიკური პარტიის თავდადებული მუშაობის შედეგად ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილნი. სისტემატურად იმართებოდა ჯარისკაცთა მიტინგები, სადაც მოითხოვდნენ ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლუციური კომისარიატისა და ნაციონალური საბჭოების გაუქმებას და, მსგავსად რუსეთისა, მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში გადასვლას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოსა და მთელ ამიერ-კავკასიაში.

მე-7 პოლკის ჯარისკაცები თავიანთ რეზოლუციაში სწერდნენ: „ჩვენ, მეშვიდე პოლკის ქართველი ჯარისკაცებს, გვქონდა კრება, ვიმსჯელეთ დღევანდელ მომენტზე და გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლუცია. რუსეთის მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოსთან კავშირის გაწყვეტამ ამიერ-კავკასიის ობორონცულ კომისარიატის მიერ დიდი ანარქია და ძმათა სისხლისღვრა გამოიწვია. ამიტომ დაუყოვნებლივ მოვითხოვთ შესდგეს ამიერ-კავკასიაში იგივე და იმ საფუძველზე ინტერნაციონალური მუშების, გლეხების და სალდათების საბჭო, რომელსაც ექნება მჭიდრო კავშირი რუსეთის სახალხო კომისარების საბჭოსთან და შეებრძოლება კონტრრევოლუციას, და ფიცს ვსდებთ დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის მუშების და გლეხების რევოლუცია“.[4])

ასეთივე შინაარსის რეზოლუცია მიიღო მესამე პოლკის ჯარისკაცთა მიტინგმა, რომელიც შესდგა ქალაქ ფოთში 1918 წლის 22 თებერვალს.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით 1918 წლის 3 თებერვალს ქალაქ გორში შესდგა მეოთხე პოლკის ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგს ესწრებოდნენ ბოლშევიკური პარტიის ხამხარეო კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წარმომადგენლები. მიტინგზე ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციისა და რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლუცია:

„სახალხო კომისარების საბჭო წარმოადგენს ნამდვილ სახალხო მთავრობას, რომელიც თავგანწირულად ემსახურება ყველა მშრომელთა და გაყვლეფილთა ინტერესებს და რომელიც აწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიის და მისი დამქაშების წინააღმდეგ.

ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია ოქტომბრის რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე მიყვანა, არის მუშ., სალდ. და გლეხების დეპუტატების საბჭოები, რომელთა ხელში არის სრული სახელმწიფო ძალაუფლება.

ოქტომბრის რევოლუცია არის რევოლუცია მუშების, ხალდათების და გლეხების, რომლის (რევოლუციის) სრული გამარჯვება შექმნის რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკას, შრომის რესპუბლიკას, როცა აღარ ექნება ადგილი ადამიანის მიერ ადამიანის, კლასის მიერ კლასის გაყვლეფა-დამონავებას, როცა დამყარდება ნამდვილი, პროლეტარული ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.[5])

ასეთი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოძახილი საქართველოში. ასეთი იყო ის სიხარული და აღფრთოვანება, რომელიც გამოიწვია ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოს რევოლუციურ მშრომელ მოსახლეობაში, რის გამოც ისინი თავდადებით უჭერდნენ მხარს რუსეთის მუშათა კლასსა და მის მოწინავე რაზმს —პეტროგრადის გმირულ პროლეტარიატს შინაურ და გარეშე კონტრ-რევოლუციასთან საბრძოლველად — ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი მონაპოვრის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

დიდი რუსეთის მებრძოლი ხალხისა და ლენინგრადის გმირული მუშათა კლასისათვის მხარდაჭერა ახლა, გამხეცებულ ფაშისტ გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოებული დიდი სამამულო ომის დღეებში, უფრო მეტად გაიზარდა და გაძლიერდა.

ორდენოსანი საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობა, დიდი საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიან პატრიოტებთან ერთად, თავდადებით იბრძვის და იბრძოლებს გერმანიის ფაშიზმის საბოლოო გასანადგურებლად — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი მონაპოვრის შენარჩუნებისათვის, სამშობლოსათვის, თავისუფლებისათვის, მშობლიური სტალინისათვის!

დოც. ნიკ. ჩახვაშვილი
მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

[1]) გაზ. „ბრძოლა“, 1917 წ. 1 ნოემბერი, № 23, გვ. 1-2.

[2]) გაზ. „ბრძოლა“, 1917 წ. 14 ნოემბერი. № 34. გვ. 3.

[3]) გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ. № 25. გვ. 1-2.

[4]) გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ. № 29. გვ. 4, 7 თებერვალი.

[5]) გაზ. „ბრძოლა“, 1918 წ. № 28. გვ. 4, 6 თებერვალი.

ფეხბურთი

7 ნოემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შესდგება თავდამსხმელ და დამცველ ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური მატჩი. თავდამსხმელთა გუნდში ითამაშებენ: პანიუკოვი (მეკარე), ჯეჯელავა, ბერეჟნოი, ვაჩაძე, პაიჭაძე, ჩახუნაშვილი, გავაშელი, გ. ჯეჯელავა, ლოლაძე, გერაძე და ხარბედია, ხოლო დამცველთა გუნდში: ტყებუჩავა (მეკარე), კინწურაშვილი, ვორონოვი, ჯორბენაძე, სალდაძე, ჭელიძე, შავგულიძე, ბერძენიშვილი, ფროლოვი, ჯორჯიკია და კიკნაძე.

მატჩი დაიწყება 4 საათზე.

მუსკომედიის თეატრის სეზონის გახსნა

თბილისის მუსკომედიის თეატრი დაბრუნდა მოგზაურობიდან. 25 აგვისტოდან 26 ოქტომბრამდე თეატრმა გამართა 61 სპექტაკლი თელავში, წინანდალში, ყვარელში, გურჯაანში, სიღნაღში, წითელწყაროში, მირზაანში, ველისციხესა და ლაგოდეხში. ამას გარდა წითელი არმიის ნაწილებს თეატრმა უჩვენა 2 სპექტაკლი და 6 კონცერტი. მოგზაურობა წარმატებით მიმდინარეობდა. მაყურებელმა სპექტაკლები გულთბილად მიიღო.

შაბათს, 8 ნოემბერს, თეატრი საკუთარ შენობაში (ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი) გახსნის საზამთრო სეზონს. წარმოდგენილი იქნება „ხაჯარათი“. ნოემბერში თეატრი დასდგამს პრემიერას „საქორწილო მოგზაურობა“.

თეატრებში

საოპერა — 6 ნოემბერს—„ლადო კეცხოველი“, 7 ნოემბერს—„აბესალომ და ეთერი“, 8 ნოემბერს — „რიგოლეტო“. **რუსთაველის სახელობის** — 6 ნოემბერს — „რღვევა“, 7 ნოემბერს — „პროფესორი მამლოკი“, 8 ნოემბერს — „რღვევა“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 6 და 7 ნოემბერს — „ცხვრის წყარო“, 8 ნოემბერს — „ურიელ აკოსტა“, 9 ნოემბერს—„მკაცრი ქალიშვილები“. **სანკულტურის ქართული თეატრი** — 6 ნოემბერს—„ბრმა მუსიკოსი“, 8 ნოემბერს—„გაგრძელება იქნება“, 9 ნოემბერს — „სტუმარ-მასპინძლობა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**— 6 ნოემბერს — „გაიდარი“ (მე-23 აბ.), 7 ნოემბერს — „გაიდარი“ (მე-36 აბ.), 8 ნოემბერს—„გაიდარი“ (მე-20 აბ.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და 26 კომ. სახ.—კინონოველები: I. „შავ მთებში“, II. „ფორპოსტი“, III. „სადარაჯოში“. სპარტაკი—„საბრძოლო კინოკრებული № 4“, ლუქსემბურგის სახ. —„საბრძოლო კინოკრებული № 3“, კომინტერნი—„ქაჯანა“, მეცნიერება და ცოდნა—„ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მედინსტიტუტის პროპედევტიკული თერაპიული კლინიკა იუწყება ექიმ
მერი ჯანდიერის
გარდაცვალებას. 12511

ვერის საკოლმეურნეო ბაზრის დირექცია იუწყება
ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე პოპიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6/XI 6 ს. გამოსვენება 7/XI 3 ს. სუნდუკის, 18, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 12512

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3 — 63 — 03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო — 3—80 — 83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის 3 — 51 — 81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 41431